

**ჩა უნდა ვიცოდეთ  
საქართველოდან  
ევროკავშირის გაზარზე  
არაცნობილური წარმოების  
სურსათის ექსპორტირებისათვის**



**თბილისი 2012**



ევროკავშირი 27 ევროპული სახელმწიფოს\* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და მათ საერთო სავაჭრო სივრცე გააჩნიათ.

ევროკავშირი მზადაა საკუთარი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ [www.delgeo.ec.europa.eu](http://www.delgeo.ec.europa.eu)

\*ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია.



ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC) ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ იხილეთ [www.eugbc.net](http://www.eugbc.net)

## რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე არაცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტირებისათვის

### HOW TO EXPORT FOOD PRODUCTS OF NON-ANIMAL ORIGIN FROM GEORGIA TO THE EU MARKET

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ

ავტორები: **ოთარ სხვიტარიძე**  
**გიორგი მიქაძე**  
**კონსტანტინე ზალდასტანიშვილი**

Authors: **Otar Skhvitaridze**  
**Giorgi Mikadze**  
**Konstantin Zaldastanishvili**

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-4843-2

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|       |  |    |
|-------|--|----|
| 1.    | შესავალი .....   | 3  |
| 2.    | საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება.....   | 4  |
| 2.1.  | შესავალი.....  | 4  |
| 2.2.  | რეგისტრაცია.....   | 4  |
| 2.3.  | სახელმწიფო კონტროლი.....   | 5  |
| 2.4.  | მოთხოვნები მიკვლევადობისა და საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემასთან დაკავშირებით.....  | 7  |
| 2.5.  | ეტიკეტირება.....   | 9  |
| 2.6.  | სტანდარტიზაცია და მეტროლოგია.....  | 9  |
| 2.7.  | სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ჰიგიენური ნორმატივები .....   | 10 |
| 2.8.  | ჰიგიენური სერტიფიცირება.....   | 13 |
| 2.9.  | ბიზნესოპერატორთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა .....  | 14 |
| 2.10. | ექსპორტამდე განსახორციელებელი ფიტოსანიტარიული პროცედურები .....  | 15 |
| 3.    | ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება .....  | 23 |
| 3.1.  | სურსათის ჰიგიენა .....   | 23 |
| 3.2.  | ეტიკეტირება.....   | 26 |
| 3.3.  | მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები.....   | 27 |
| 3.4.  | მარკეტინგული სტანდარტები.....  | 29 |
| 3.5.  | მცენარეთა სიჯანსაღისა და იმპორტის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები .....   | 31 |
| 3.6.  | ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლის და მწვანე ხაჭაპურის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას ..... | 34 |
| 4.    | საერთაშორისო სტანდარტები .....   | 38 |
| 4.1.  | სტანდარტი ISO 22000 და GLOBAL G.A.P. ....  | 38 |
| 4.2.  | კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტები.....   | 38 |

### Summary

|  |    |
|--|----|
| How to Export Food Products of Plant Origin from Georgia to the EU Market..... | 40 |
|--|----|

|            |   |    |
|------------|---|----|
| დანართი 1. | ჰიგიენური სერტიფიკატის ფორმა.....   | 46 |
| დანართი 2. | ექსპორტისათვის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმა .....                           | 47 |
| დანართი 3. | რეექსპორტისათვის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმა .....                         | 49 |
| დანართი 4. | პუბლიკაციაში გამოყენებული საქართველოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები ..... | 51 |



## 1. შესავალი

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზართან - ევროკავშირთან, სურსათით ვაჭრობის ზოგადი და კონკრეტული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სურსათის უვნებლობაა.

სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების – ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა და შესაბამისად სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ევროკავშირმა, სურსათის უვნებლობის შესახებ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები შეიმუშავა.

ამ საკითხისადმი ევროკავშირის კომპლექსური მიდგომა სურსათის წარმოების ყველა ეტაპს და ასპექტს მოიცავს. ნორმატიულ აქტებში მოცემული მოთხოვნები ვრცელდება როგორც ევროკავშირში წარმოებულ, ასევე ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ სურსათზე და ამდენად, ისინი **მესამე ქვეყნების<sup>1</sup>** ექსპორტიორებისთვისაც საყურადღებოა.

სურსათის უვნებლობის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს და ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობს **ევროპის სურსათის უვნებლობის სამსახური (EFSA)<sup>2</sup>**, რომლის დანიშნულებაა სურსათის უვნებლობის გაუმჯობესება და მოხმარებელთა უფლებების დაცვა.

ევროკავშირში დღეისათვის სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს “ჰორიზონტალური” და “ვერტიკალური” კანონმდებლობა (რეგულაციები და დირექტივები).

“ჰორიზონტალური” კანონმდებლობა არეგულირებს სურსათის უვნებლობის ისეთ ასპექტებს, რომლებიც საერთოა ყველა სახეობის სურსათისათვის. ამ კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე მოთხოვნები ოფიციალური მაკონტროლებელი ორგანოებისადმი.

“ვერტიკალური” კანონმდებლობა არეგულირებს სხვადასხვა სახეობის სურსათის წარმოებასა და მარკეტინგს.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, ქართველ მწარმოებებს, მწვანეების, დაფნის ფოთლისა და თხილის მაგალითზე, გააცნოს არაცხოველური წარმოების სურსათის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციისა და ექსპორტის მარეგულირებელი საქართველოსა და ევროკავშირში დღეისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტები, რაც მათ ამ პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტში დაეხმარება.

1 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები და ა.შ.)

2 EFSA (European Food Safety Authority) - <http://www.efsa.europa.eu/>

## 2. საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება

### 2.1. შესავალი

სურსათის (მ.შ. მწვანის, დაფნის ფოთლისა და თხილის) წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია და ექსპორტი რეგულირდება საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედ მთავარ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს [საქართველოს კანონი “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი”](#).

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე **პირველად წარმოებაზე**<sup>3</sup>, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

კოდექსის რეგულირების სფეროა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი და ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომლებიც უკავშირდება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებას (იმპორტი, რექსპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი).

2010 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა [“სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა”](#). სტრატეგიაში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიზანი, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროს იურიდიულ და ინსტიტუციურ დახვეწასა და საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას მოიცავს. სტრატეგიაში შედის რამდენიმე საკითხი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება და მისი აღსრულება. აღნიშნული საკითხის განხორციელება ხელს შეუწყობს შიდა ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განუხრეღ ზრდას.

### 2.2. რეგისტრაცია

[საქართველოს კანონის “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი”](#) მე-13 მუხლის მიხედვით, პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან ან/და დისტრიბუციასთან, ასევე პირველად წარმოებასთან, ვალდებულია დარეგისტრირდეს **ბიზნესოპერატორად**<sup>4</sup>, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. რეგისტრაცია ხორციელდება იუსტიციის

3 პირველადი წარმოება – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას, მოსავლის აღების, ნაყოფის კრფის ჩათვლით; ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას.

4 ბიზნესოპერატორი — მენარმე სუბიექტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულია სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორად და პასუხისმგებელია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან ან/და დისტრიბუციასთან, ასევე პირველად წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის.

სამინისტროს [საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს \(http://public.reestri.gov.ge;](http://public.reestri.gov.ge)  
ტ: +995-32-225.15.27) ნებისმიერ ფილიალში.

### 2.3. სახელმწიფო კონტროლი

საქართველოს ტერიტორიაზე სურსათის სახელმწიფო კონტროლს და მის კორდინაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) [სურსათის ეროვნული სააგენტო](#)<sup>5</sup>. კონტროლი ხორციელდება [საქართველოს კანონით “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი”](#) დადგენილი წესით.

სურსათის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ხორციელდება გეგმიური და არა-გეგმიური ინსპექტირება. არაგეგმიურ ინსპექტირებას სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო გეგმიურ ინსპექტირებას [საინსპექციო ორგანო](#)<sup>6</sup> ახორციელებს. იმ ტერიტორიასა და წარმოების სახეობაზე, სადაც არ არის საინსპექციო ორგანო, გეგმიურ ინსპექტირებას სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არცერთი საინსპექციო ორგანო არ არსებობს (არ არის აკრედიტებული) და შესაბამისად გეგმიურ ინსპექტირებასაც მხოლოდ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

ბიზნესოპერატორთა ინსპექტირება ხორციელდება საქართველოს მთავრობის [2010 წლის 25 ივნისის №173](#) (“სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ”) და [2010 წლის 10 სექტემბრის №282](#) (“სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ”) დადგენილებების მიხედვით.

ზემოაღნიშნულ დადგენილებებში მოცემულია, როგორც ბიზნესოპერატორთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ასევე ინსპექტირების განხორციელების წესები და პროცედურები.

სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირება;
- მონიტორინგი;
- ნიმუშის აღება;
- დოკუმენტური შემოწმება.

**ინსპექტირება** ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით შემუშავებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად (გეგმიური ინსპექტირება), ან იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სურსათის უვნებლობის მოქმედ ნორმებთან შეუსაბამობაზე (არა-გეგმიური ინსპექტირება). შესაბამისობის შეფასების აქტში ფიქსირდება შეუსაბამობები, რომლებიც შეიძლება იყოს არაკრიტიკული ან კრიტიკული.

კრიტიკული შეუსაბამობის (შეუსაბამობა, რომელიც აკრედიტებულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი სიცოცხლესა და ჯანმრთელობას) აღმოჩენის შემთხვევაში სურსათის ეროვნული

5 სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – <http://nfa.gov.ge/>

6 საინსპექციო ორგანო – მენარმე სუბიექტი, რომელიც აკრედიტებულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ და ახორციელებს გეგმიურ ინსპექტირებას.

სააგენტო ბიზნესოპერატორს აკისრებს ჯარიმას. ასეთ შემთხვევაში ბიზნესოპერატორი ვალდებულია შეაჩეროს კონკრეტული სანარმოო პროცესი, კრიტიკული შეუსაბამობის გამოსწორებამდე.

არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი<sup>7</sup> ბიზნესოპერატორს, შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, აძლევს რეკომენდაციებს და გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად.

**მონიტორინგი** არის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, როგორც სურსათის უვნებლობის და ეტიკეტირების, ასევე პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემცველობის და გამოყენების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის ფარგლებში ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა საცალო ვაჭრობის პუნქტიდან ნიმუშის აღების გზით ხორციელდება.

**ნიმუშის აღება** ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, ან/და სხვა მარკენებლების გამოკვლევის მიზნით, რათა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მცენარის სიჯანსაღისათვის მათით განპირობებული საფრთხე, ასევე პროდუქტის ეტიკეტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად. ნიმუშის აღებისა და მისი აკრედიტებული ლაბორატორიისთვის<sup>8</sup> გადაცემის კომპეტენცია აქვს უფლებამოსილ პირს.

**დოკუმენტური შემონმების** დროს ხდება სანარმოში არსებული ისეთი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების შესწავლა როგორებიცაა:

- წარმოებაში გამოყენებული სტანდარტები;
- ჩანაწერები სადენინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებისა და სადენინფექციო საშუალებების გამოყენების შესახებ;
- აღჭურვილობებისა და მოწყობილობების, ასევე სურსათის შესაფუთი მასალების არატოქსიკურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მიკვლევადობის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან (იხ. ქვეთავი 2.4.) დაკავშირებული ჩანაწერები.

დოკუმენტური შემონმებისას ბიზნესოპერატორი ვალდებულია უფლებამოსილ პირს მოთხოვნილი დოკუმენტაცია მიაწოდოს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების მიხედვით, ინსპექტირებისას სანარმოების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები ეხება:

- სანარმოს ტერიტორიას;
- სურსათის სანარმოებლად განკუთვნილ შენობას;
- სანარმოო სათავსებს;
- წყალმომარაგებასა და კანალიზაციას;
- ტექნოლოგიურ პროცესს;
- სურსათის სანარმოებლად საჭირო აღჭურვილობას, მოწყობილობებს, ინვენტარს;
- სასურსათო ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, მზა პროდუქციას;
- სურსათთან დაკავშირებულ ტარასა და მასთან შეხებაში მყოფ მასალებს;
- ნარჩენების შეგროვებასა და გატანას;

7 უფლებამოსილი პირი - სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირი.

8 აკრედიტებული ლაბორატორია - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეტანილია აკრედიტაციის სისტემის სახელმწიფო რეესტრში, ან საერთაშორისო (მათ შორის, სხვა ქვეყნების) აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია.



- დეზინფექციას, დერატიზაციასა და დეზინსექციას;
- სურსათის ტრანსპორტირებას;
- პერსონალის პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას;
- პერსონალის სწავლებას;
- ეტიკეტირებას;
- მიკვლევადობას;
- დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს.

ბიზნესოპერატორებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო კონტროლის დროს გამოვლენილი პრობლემების გამოსწორების მიზნით.

ბიზნესოპერატორებმა, სათანადო წესით, გარკვეული პერიოდულობით უნდა აწარმოონ და შეინახონ რისკების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერები.

ბიზნესოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ ფორტიფიცირებული<sup>9</sup> სურსათის წარმოებას ვალდებული არიან დაიცვან “სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 19 ოქტომბრის №300/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, ზემოხსენებული ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-8 მუხლის მიხედვით ფორტიფიკანტების დამატება აკრძალულია ისეთი ნედლი დაუმუშავებელი სურსათისათვის როგორცაა: ხილი და ბოსტნეული.

## **2.4. მოთხოვნები მიკვლევადობისა და საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემასთან დაკავშირებით**

საქართველოს კანონის “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი” მე-17 მუხლის თანახმად, სურსათის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

ბიზნესოპერატორი ვალდებულია ქონდეს ინფორმაცია:

- სურსათის, სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ნედლეულის და მცენარის მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფაქტობრივი მისამართის და პროდუქტის ჩაბარების თარიღის შესახებ;
- იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ფაქტობრივი მისამართის შესახებ, რომელსაც მიაწოდა წარმოებული სურსათი, სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ნედლეული და მცენარე, მისი მიწოდების თარიღის მითითებით.

“სურსათის წარმოების სფეროში მიკვლევადობის, საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №2-144 ბრძანების მიხედვით, მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად ბაზარზე განთავსებული სურსათი ეტიკეტირებული უნდა იყოს დადგენილი წესით (იხ. ქვეთავი 2.5.), რათა შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიცირება.

9 ფორტიფიცირებული სასურსათო პროდუქტები – მიკროელემენტებითა და ვიტამინებით გამდიდრებული სურსათი, რომელიც გამოიყენება მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისათვის. მაგ.: იოდირებული მარილი; რკინით გამდიდრებული პურის ფქვილი.

მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია სტანდარტული ინფორმაციის შეგროვება შესაბამისი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების სახით.

ბიზნესოპერატორები ვალდებული არიან აწარმოონ ჩანაწერები:

- მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ;
- მცენარეთა პარაზიტებისა და ნებისმიერი დაავადების წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სურსათის უვნებლობაზე;
- მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

მიკვლევადობის განხორციელებისათვის ბიზნესოპერატორს აუცილებლად უნდა გააჩნდეს დოკუმენტური ინფორმაცია:

- შესაფუთი მასალების წარმომავლობისა და მახასიათებლების შესახებ;
- ტრანსპორტირების ვადებისა და ტრანსპორტირებისას ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის შესახებ.

დღეისათვის მსოფლიოში სურსათის უვნებლობის მართვის ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემაა HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) — საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომელიც საფრთხის იდენტიფიკაციისა და მასზე კონტროლის განხორციელებით უვნებელი სურსათის წარმოების საშუალებას იძლევა.

HACCP-ის პრინციპები პირველად შემუშავდა 60-იან წლებში, აშშ-ში კოსმოსურ პროგრამაზე მუშაობისას, როდესაც აუცილებელი გახდა შეემუშავებინათ ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა კოსმოსში მოხმარებულ სურსათში ტოქსინების წარმოქმნას და შესაბამისად უზრუნველყოფდა ასტრონავტების დაცვას კვებითი მოშხამებისაგან.

მიუხედავად იმ ძალისხმევისა, რასაც სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვა ბიზნესოპერატორის მხრიდან მოითხოვს, მის განხორციელებას ისეთი კონკრეტული დადებითი შედეგი მოაქვს, როგორებიცაა:

- სამომხმარებლო ბაზრისა და საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ბიზნესოპერატორთა რეპუტაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის ხელშეწყობა - ექსპორტის გაუმჯობესებული შესაძლებლობები.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- საფრთხის ანალიზი;
- კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა;
- კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე კრიტიკული ზღვრების განსაზღვრა;
- კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე ეფექტიანი მონიტორინგის დანერგვა და განხორციელება;
- კონტროლის მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება;
- რეგულარული პროცედურების დანერგვა და განხორციელება;
- შესაბამისი ჩანაწერებისა და დოკუმენტაციის წარმოება.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვით ბიზნესოპერატორი უზრუნველყოფს უვნებელი სურსათის წარმოებას და დოკუმენტურად ადასტურებს, რომ მომხმარებლისთვის მინოდებული პროდუქტი უვნებელია.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა სავალდებულო არ არის ისეთი ბიზნესოპერატორებისთვის რომლებიც ახორციელებენ:

- პირველად წარმოებას;
- პირველადი წარმოების პროდუქტების ტრანსპორტირებას, შენახვასა და დამუშავებას (თუ პირველადი წარმოების პროდუქტის დამუშავება მნიშვნელოვნად არ ცვლის მის თვისებებს).

სისტემის მოდიფიცირება (გამარტივების მიზნით) შესაძლებელია ისეთ ბიზნესოპერატორებზე:

- რომლებსაც აქვთ **მცირე ბიზნესის**<sup>10</sup> სტატუსი;
- რომლებიც ახორციელებენ სურსათის წარმოებას, გადამამუშავებას ან/და დისტრიბუციას ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ჩათვლით (მაგ. გუდის ყველის წარმოება);
- რომლებიც **მაღალმთიან რეგიონში**<sup>11</sup> არაქარხნული წესით ახორციელებენ სურსათის წარმოებას, გადამამუშავებას ან/და დისტრიბუციას.

სურსათის წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ტიპები, რომელთათვისაც სავალდებულო იქნება საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა, განსაზღვრული იქნება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

## 2.5. ეტიკეტირება

საქართველოს კანონის “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი” მიხედვით, სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათი ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

[“სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბერის №2-231 ბრძანება](#) ადგენს ეტიკეტირების მოთხოვნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებულ ყველა სახის სურსათზე (მ.შ. არაცხოველური წარმოშობის სურსათზე) და მიზნად ისახავს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

ბიზნესოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის ეტიკეტირების შესაბამისობა ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

## 2.6. სტანდარტიზაცია და მეტროლოგია

[საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”](#) თანახმად, **სტანდარტი** არის კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული

10 მცირე ბიზნესი – ბიზნესოპერატორი, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს.

11 მაღალმთიანი რეგიონი - გეოგრაფიული არეალი, რომელიც შეესაბამება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიანი რეგიონის ცნებას.

და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა სახის საქმიანობის, მოქმედების ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით. საქართველოში სტანდარტების შემუშავებას, რეგისტრაციას და ამ სტანდარტების დანტერესებული პირებისათვის მიწოდებას, აგრეთვე საკონტროლო/გამზომი ხელსაწყოების კალიბრაციასა და დამონმებას (მეტროლოგია) ახორციელებს [საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს](#) დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ [საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო](#).

ზემოხსენებული კანონის მიხედვით სტანდარტები არის შემდეგი სახის:

- საერთაშორისო სტანდარტი - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი;
- რეგიონული სტანდარტი - სტანდარტების საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი;
- საქართველოს სტანდარტი (სსტ) - სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც საერთაშორისო ან რეგიონული სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ;
- საწარმოს შიდა სტანდარტი - მწარმის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია ის სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება. საწარმოს შიდა სტანდარტი სხვა პირებისათვის სტანდარტად არ განიხილება, რეგისტრაციას არ საჭიროებს და მასზე არ ვრცელდება ზემოხსენებული კანონის მოქმედება;
- დეკლარირებული სტანდარტი - სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიდა სტანდარტზე.

სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. ტექნიკური რეგულაციების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მწარმოებელს შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგულაციებში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული.

“სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის №2-231 ბრძანების თანახმად, წარმოებული სურსათი უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ სტანდარტს, იყოს კონკრეტული და მისაღებდეს სურსათის ნამდვილ ბუნებაზე.

ბიზნესსპერატორებისთვის საავალდებულოა წარმოებაში გამოყენებული საკონტროლო/გამზომი ხელსაწყოების კალიბრაცია და დამონმება (მეტროლოგია).

## 2.7. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ჰიგიენური ნორმატივები

სურსათის უვნებლობის მაჩვენებლები და მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზღვ) მოცემულია სანიტარიულ წესებსა და ნორმებში (სანწდნ 2.3.2. 000-00) - [“ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი](#)”, რომელიც დამტკიცებულია [“სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ”](#) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-

**ციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/6 ბრძანებით.**

ზემოაღნიშნული სანიტარიული წესებით ნორმირდება:

- **მწვანელში** - ტოქსიკური ელემენტები, ნიტრატები, პესტიციდები, რადიონუკლიდები, მეზოფილური აერობული და ფაკულტატიურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ), ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), პათოგენები, მ.შ. სალმონელები, საფუარის სოკოები და ობის სოკოები;
- **დაფნის ფოთოლში** - ტოქსიკური ელემენტები, რადიონუკლიდები, მეზოფილური აერობული და ფაკულტატიურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ), ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), სულფიტმარედაქტირებელი კლოსტრიდიები, პათოგენები, მ.შ. სალმონელები და ობის სოკოები;
- **თხილში** - ტოქსიკური ელემენტები, ნიტრატები, პესტიციდები, რადიონუკლიდები, მიკოტოქსინები, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), პათოგენები, მ.შ. სალმონელები და ობის სოკოები.

უვნებლობის კონკრეტული მაჩვენებლები და მათი დასაშვები დონეები, მწვანელის, დაფნის ფოთლის და თხილისათვის, მოცემულია შესაბამისად ცხრილებში №1, №2 და №3.

**ცხრილი №1**

**მწვანელის ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები**

| ქიმიური მაჩვენებლები  | ზღვრული დონეები, არა უმეტეს   | მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები   | ზღვრული დონეები, არა უმეტეს            |
|---|---|--|--|
| ტოქსიკური ელემენტები:<br>ტყვია<br>დარიშხანი<br>კადმიუმი<br>ვერცხლისწყალი<br>სპილენძი<br>თუთია | 0,5 მგ/კგ<br>0,2 მგ/კგ<br>0,03 მგ/კგ<br>0,02 მგ/კგ<br>5,0 მგ/კგ<br>10,0 მგ/კგ | მეზოფილური აერობული და ფაკულტატიურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ) კნე/გ <sup>12</sup> | 1*10 <sup>4</sup>                      |
| ნიტრატები   | 2000 მგ/კგ  | ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)  | არ დაიშვება 1,0 გრ-ში                  |
| პესტიციდები:<br>ჰექსაქლოროციკლოპექსანი (α,β,γ-იზომერები)<br>დდტ და მისი მეთაბლიტები           | 0,5 მგ/კგ<br>0,1 მგ/კგ  | პათოგენები მ.შ. სალმონელები  | არ დაიშვება 25 გრ-ში                   |
| რადიონუკლიდები:<br>ცეზიუმ-137<br>სტრონციუმ-90   | 130 ბკ/კგ<br>50 ბკ/კგ   | საფუარის სოკოები<br>კნე/გ<br>ობის სოკოები კნე/გ  | 1*10 <sup>2</sup><br>1*10 <sup>2</sup> |

12 კნე/გ - კოლონიის წარმოქმნელი ერთეული/გრამზე

**ცხრილი №2**

**დაფნის ფოთოლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები**

| ქიმიური მაჩვენებლები                                    | ზღვრული დონეები, არა უმეტეს         | მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები  | ზღვრული დონეები, არა უმეტეს |
|---|-------------------------------------|---|-----------------------------|
| ტოქსიკური ელემენტები:<br>ტყვია<br>დარიშხანი<br>კადმიუმი | 5,0 მგ/კგ<br>5,0 მგ/კგ<br>0,2 მგ/კგ | მეზოფილური აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ) კნე/გ | 5*10 <sup>5</sup>           |
| რადიონუკლიდები:<br>ცეზიუმ-137<br>სტრონციუმ-90           | 200 ბკ/კგ<br>100 ბკ/კგ              | ნაწლავის ჩხირის ფგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)                               | არ დაიშვება 0,01 გრ-ში      |
|   |                                     | მეზოფილური სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები                                  | არ დაიშვება 0,01 გრ-ში      |
|   |                                     | პათოგენები მ.შ. სალმონელები   | არ დაიშვება 25 გრ-ში        |
|   |                                     | ობის სოკოები კნე/გ  | 1*10 <sup>3</sup>           |

**ცხრილი №3**

**თხილის ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები**

| ქიმიური მაჩვენებლები  | ზღვრული დონეები, არა უმეტეს  | მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები                    | ზღვრული დონეები, არა უმეტეს |
|---|--|---|-----------------------------|
| ტოქსიკური ელემენტები:<br>ტყვია<br>დარიშხანი<br>კადმიუმი<br>ვერცხლისწყალი<br>სპილენძი<br>თუთია | 0,5 მგ/კგ<br>0,3 მგ/კგ<br>0,1 მგ/კგ<br>0,05 მგ/კგ<br>15,0 მგ/კგ<br>100,0 მგ/კგ | ნაწლავის ჩხირის ფგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები) | არ დაიშვება 0,01 გრ-ში      |
|   |  | პათოგენები მ.შ. სალმონელები                     | არ დაიშვება 25 გრ-ში        |
|   |  | ობის სოკოები კნე/გ                              | 1*10 <sup>3</sup>           |
| პესტიციდები:<br>ჰექსაქლორციკლოჰექსანი (ა,ბ,გ-იზომერები)<br>დდტ და მისი მეტაბოლიტები           | 0,5 მგ/კგ<br>0,15 მგ/კგ  |   |                             |
| მიკოტოქსინები:<br>აფლატოქსინი B1  | 0,005 მგ/კგ  |   |                             |
| რადიონუკლიდები:<br>ცეზიუმ-137<br>სტრონციუმ-90   | 200 ბკ/კგ<br>100 ბკ/კგ   |   |                             |

“საკვებდანამატების გამოყენების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №311/ნ ბრძანება სურსათის წარმოებაში საკვებდანამატების გამოყენებასა და მათი ზღვრულად დაშვებულ კონცენტრაციებს არეგულირებს.

[საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 17 მაისის №2-75 ბრძანებით](#) დადგენილია საქართველოში ნებადართული პესტიციდების ჩამონათვალი და სურსათში მათი ჰიგიენური ნორმატივები.

[საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 5 აგვისტოს №2-129 ბრძანებით](#) დადგენილია საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების ჩამონათვალი.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №182/ნ ბრძანება](#) ადგენს სურსათთან დაკავშირებულ შესაფუთ მასალებსა და ნაკეთობებში იმ ქიმიურ ნივთიერებათა საკონტროლო მაჩვენებლებსა და მიგრაციის დასაშვებ რაოდენობას, რომელიც ზიანს არ აყენებს სურსათს და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

რაც შეეხება მწვანის, დაფნის ფოთლისა და თხილის ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და მათ ნორმირებას, იგი დამოკიდებულია თუ რომელი სტანდარტით ხდება აღნიშნული სურსათის წარმოება.

ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან ძირითადად ნორმირდება:

- **მწვანეში** - გარეგნული სახე; ფოთლების ფერი; მიწის მინარევების პროცენტული წილი; ზომა; გემო და არომატი;
- **დაფნის ფოთოლში** - გარეგნული სახე; სუნი და გემო; ფოთლის სიგრძე; ფოთლის სინესტი; ფერი; მავნებლებით დაზიანებული ფოთლების პროცენტული წილი; მინერალური და ორგანული მინარევებით დაბინძურება;
- **თხილში** - ფორმა; გემო და სუნი; სიმკვრივე; ნაყოფის საშუალო მასა; სინესტი; მწერებით, მავნებლებითა და ობით დაზიანება.

## 2.8. ჰიგიენური სერტიფიცირება

ჰიგიენურ სერტიფიცირებას არეგულირებს [“სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილება](#).

ეს წესი განსაზღვრავს სურსათისა და ტარის **ჰიგიენური სერტიფიკატის**<sup>13</sup> გაცემის პროცედურებსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სურსათის/ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა მიზნად ისახავს პოტენციური საფრთხის შეფასებით მომხმარებელთა ნდობის ამაღლებას, მათი ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

**ჰიგიენური სერტიფიკაცია ნებაყოფლობითია** და ხორციელდება განმცხადებლის (მწარმოებლის/დისტრიბუტორის, ექსპორტიორის) ინიციატივით.

ჰიგიენური სერტიფიკატი გაიცემა როგორც დაფასობებულ, ისე დაუფასობებულ სურსათზე.

ჰიგიენური სერტიფიკატი გაიცემა სურსათის ეროვნული სააგენტოს ან [შემოსავლების სამსახურის](#) მიერ, განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე.

<sup>13</sup> ჰიგიენური სერტიფიკატი (ჰიგიენური დასკვნა) - არის სურსათის/ტარის უვნებლობის ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.



სურსათის/ტარის ჰიგიენური სერტიფიკატი გაიცემა განცხადებაში მითითებულ სურსათზე/ტარაზე.

სურსათის/ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება, რომელშიც მიეთითება სურსათის/ტარის დასახელება, რაოდენობა, დამზადების თარიღი, პარტიის ნომერი, შეფუთვის სახეობა, სურსათის ჰიგიენური მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში, შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი);
- **აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის<sup>14</sup>** მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე გაცემული სურსათის/ტარის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოცდის ოქმი;
- სურსათის/ტარის გამოყენებისა და აკრძალვის სფეროს დახასიათება.

აღსანიშნავია, რომ არაცხოველური ნარმოშობის სასურსათო პროდუქციის სფეროში საერთაშორისო აკრედიტაცია საქართველოში ამჟამად მხოლოდ ორ ლაბორატორიას: შპს „მულტიტესტს“ და შპს „ლენის ლაბორატორიას“ გააჩნია.

ჰიგიენური სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტო ან შემოსავლების სამსახური 2 დღის ვადაში გასცემს ჰიგიენური სერტიფიკატის დუბლიკატს. ჰიგიენური სერტიფიკატის დუბლიკატს აქვს იგივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.

[“სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განვების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებით](#) განსაზღვრულია ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის ვადები და საფასური. კერძოდ:

- 5 სამუშაო დღე - 50 ლარი;
- 3 სამუშაო დღე - 75 ლარი;
- 1 სამუშაო დღე - 100 ლარი.
- სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა - 10 ლარი.

გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათის შემთხვევაში ჰიგიენური სერტიფიკატი გაიცემა უფასოდ.

ჰიგიენური სერტიფიკატის ფორმა მოცემულია დანართში №1.

## **2.9. ბიზნესოპერატორთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა**

საქართველოს კანონში “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი” მოცემულია ბიზნესოპერატორთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

### **ბიზნესოპერატორს უფლება აქვს არ დაეთანხმოს:**

- სურსათის ეროვნული სააგენტოსა და საინსპექციო ორგანოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და მიმართოს სასამართლოს (უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ);

14 არაცხოველური ნარმოშობის სასურსათო პროდუქტის (მ.შ. მწვანის, დაფნის ფოთლისა და თხილის) სფეროში ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიების ჩამონათვალი მოცემულია ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე: [www.Economy.gov.ge](http://www.Economy.gov.ge) შემდეგი სექციების მიხედვით: სამინისტროში შემავალი საქვეყნებო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები; აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი; აკრედიტებული პირები, ტესტირების ლაბორატორიები.



- სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაჯარიმებისა და კონკრეტული სანარმოო პროცესის შეჩერების შესახებ და მიმართოს სასამართლოს (თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ბიზნესოპერატორის სასარგებლოდ მიიღებს, სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს ბიზნესოპერატორს დაჯარიმებისა და კონკრეტული სანარმოო პროცესის შეჩერების შედეგად მიყენებული ზიანი).

### **ბიზნესოპერატორს უფლება აქვს მოითხოვოს:**

- სურსათზე რეფერენტული (შედარებითი) ლაბორატორიული გამოცდის ჩატარება. (რეფერენტული გამოცდით ბიზნესოპერატორის არგუმენტების სისწორის დადასტურების შემთხვევაში მას უზრუნველდება ამ საქმიანობისთვის განეული ხარჯები);
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, უფლებამოსილი პირის მიერ, სახელმწიფო კონტროლის ან რისკის ანალიზის შედეგად მოპოვებული, სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

### **ბიზნესოპერატორი თავისი საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია:**

- უზრუნველყოს ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან სურსათის შესაბამისობა წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;
- სურსათის მავნეობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ სურსათის ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად, ან ბაზარზე უკვე განთავსებული სურსათის გამოსათხოვად და ამ მიზნით მიღებული ზომების თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს;
- კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს კონკრეტული სანარმოო პროცესი.

საქართველოს კანონის “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი” შესაბამის მუხლებში (კარი IV; თავი XV) მოცემულია ბიზნესოპერატორთა პასუხისმგებლობა (საჯარიმო სანქციები).

ბიზნესოპერატორი ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197, 197<sup>1</sup> და 198 მუხლებით, თუ მას დაუმტკიცდება:

- სურსათის ფალსიფიკაცია, ე.ი. მოტყუებით მისი თვისობრიობის შეცვლა, მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ჩადენილი ანგარებით;
- ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, იმპორტი ან რეალიზაცია.

## **2.10. ექსპორტამდე განსახორციელებელი ფიტოსანიტარიული პროცედურები**

არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ექსპორტის ან რეექსპორტის განხორციელებამდე უნდა მოხდეს მისი ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება.

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები<sup>15</sup>** (იხ. დანართი №2 და დანართი №3) გაიცემა

<sup>15</sup> ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი - არის საჯარო სამართლის იურიდიული პირების: სურსათის ეროვნული სააგენტოს ან შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული, რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით (FAO, 1997) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების გამოყენების საფუძველზე.

საექსპორტო ან რექსპორტის ტვირთებზე და ადასტურებს აღნიშნული ტვირთების შესაბამისობას იმპორტის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან.

**ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** (შემდგომში ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი) ჩვეულებრივ გაიცემა იმ ქვეყნის მცენარეთა დაცვის ეროვნული ორგანიზაციის (მდეო) მიერ, სადაც მოყვანილი იქნა მცენარეები ან წარმოებული იქნა არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტები, ან სხვა რეგულირებადი ობიექტები<sup>16</sup>.

**რექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** გაიცემა რექსპორტის ქვეყნის მდეო-ს მიერ (იმ ქვეყნის, რომელშიც მოცემული ნედლეული, საქონელი არ მოყვანილა ან არ გადაამუშავებულა), თუ ტვირთი არ მოხვედრილა დასნებოვნების რისკის ქვეშ, შესაბამება იმპორტიორი ქვეყნის იმპორტის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და არსებობს წარმოშობის ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან მისი დამონმებული ასლი.

ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს/რექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასცემს:

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;
- სსიპ შემოსავლების სამსახური – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების საფუძველზე.

მცენარეების, არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებისა და სხვა რეგულირებადი ობიექტების მიმართ, ექსპორტის/რექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მომსახურების განწვამდე სურსათის ეროვნული სააგენტოს ან შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე გადაიხდის მომსახურების განწვის საფასურს და განაცხადთან ერთად წარადგენს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს.

აღნიშნული საბუთის წარუდგენლობა, მომსახურების განწვის თაობაზე უარის თქმის საფუძველია. მომსახურების ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის, ან შემოსავლების სამსახურისათვის მიმართვის მომენტიდან. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საფასურის გადახდისაგან თავისუფლებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

[“სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განწვის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებით](#) განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის საფასური. კერძოდ:

- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა - 25 ლარი;
- სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა - 10 ლარი.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად ფიზიკური ან იურიდიული პირი სურსათის ეროვნულ სააგენტოში ელექტრონულად ან წერილობით წარმოადგენს განაცხადს, რომელიც უნდა შეიცავდეს:

<sup>16</sup> რეგულირებადი ობიექტი — ნებისმიერი მცენარე, მცენარეული პროდუქტი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი და სხვა ორგანიზმი, ობიექტი ან მასალა, სადაც შესაძლებელია მავნე ორგანიზმის არსებობა, ან რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას, რომელთა მიმართ აუცილებელია, გატარდეს ფიტოსანიტარიული ზომები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს.

- იურიდიული პირისათვის — ორგანიზაციის დასახელებას, მისამართსა და ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო ფიზიკური პირისათვის — სახელს, გვარს, მისამართს და პირადობის მოწმობის ასლს;
- ტვირთის მიმღების დასახელებასა და მისამართს;
- დანიშნულების ქვეყნის დასახელებას და იმპორტის (საზღვრის გადაკვეთის) პუნქტს;
- საქონლის წარმოების ადგილის დასახელებას;
- საქონლის დასახელებას, რაოდენობას, მდგომარეობას, საბოლოო გამოყენების დანიშნულებას, ადგილმდებარეობას;
- შეფუთვის სახეობასა და რაოდენობას;
- სატრანსპორტო საშუალების (კონტეინერების, სარკინიგზო რონოდების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების) ნომრებს (თუ ცნობილია);
- ტრანსპორტირების საშუალებას (საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო, საფოსტო, სამგზავრო);
- იმ ქვეყნის დასახელებას, რომელთა გავლითაც უნდა მოხდეს საქონლის ტრანსპორტირება (იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში);
- ინფორმაციას დამუშავების ჩატარების/ჩაუტარებლობისა და გამოყენებული მეთოდის შესახებ.

რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მისაღებად განაცხადს თან უნდა ახლდეს წარმომომხმარებლის ქვეყნის უფლებამოსილი სამსახურების მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან მისი დამონმებული ასლი.

იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ სურსათის ეროვნულ სააგენტოში ან შემოსავლების სამსახურში განაცხადისა და მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის შემოტანის შემდეგ, უფლებამოსილი პირი (შემდგომში ინსპექტორი) იწყებს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცესს – ახორციელებს და ორგანიზებას უწევს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მომზადებამდე ჩასატარებელ პროცედურებს:

- ინსპექტირებას, საჭიროებისამებრ ნიმუშის აღებას;
- ლაბორატორიულ ანალიზს;
- ზედამხედველობას;
- დამუშავებას.

იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიისა და სახეობის ტვირთი ექვემდებარება ექსპორტის ან რეექსპორტის რეჟიმით გაგზავნას და თუ როგორია იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნები, ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი ან რამდენიმე ფიტოსანიტარიული პროცედურა. ფიტოსანიტარიული სერტიფიცირებისას ინსპექტირება ყველა შემთხვევაში ხორციელდება.

**ინსპექტირება** არის მცენარეების, არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტების ან ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მასალების ვიზუალური შემოწმება, მავნე ორგანიზმების არსებობის გამოვლენის და/ან ფიტოსანიტარიულ ზომებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ინსპექტირების დაწყებამდე ინსპექტორი მოიპოვებს ინფორმაციას და ეცნობა იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს, ექსპორტის ან რეექსპორტის რეჟიმით გასაგზავნ პროდუქციასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ინფორმაციას ინსპექტორი იღებს:

- უშუალოდ ექსპორტის ან რეექსპორტის განმასორციელებელი ფიზიკური/იურიდიული პირისაგან;
- [საერთაშორისო ფიტოსანიტარიულ პორტალზე](https://www.ippc.int), იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით (<https://www.ippc.int>);
- სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

ინსპექტორი ინსპექტირებას იმპორტიორი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნების გათვალისწინებით იწყებს.

ინსპექტირების მიზანია იმპორტისა და ექსპორტის დროს საკარანტინო და რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებთან მიმართებაში მოთხოვნების (მავნე ორგანიზმების არსებობის, არარსებობის) შესაბამისობის დადასტურება.

ინსპექტირება ხშირად ასევე ემსახურება ადრე მიღებული ფიტოსანიტარიული ზომების და ჩატარებული ფიტოსანიტარიული პროცედურების ეფექტურობის შემოწმებას.

ინსპექტირების პროცესში შეიძლება აღებული იქნას ნიმუშები ლაბორატორიული ანალიზისათვის ან მავნე ორგანიზმის იდენტიფიკაციის გადამოწმებისათვის.

ექსპორტის ან რეექსპორტის დროს ინსპექტირების დაინიშნულებაა დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება ტვირთი იმპორტიორი ქვეყნის სპეციფიკურ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს, ინსპექტირების მომენტისათვის.

უმეტეს შემთხვევაში ტვირთის მთლიანი მოცულობის ინსპექტირება შეუძლებელია და მისი ფიტოსანიტარიული მდგომარეობა უნდა დადგინდეს აღებული ნიმუშების მეშვეობით.

ინსპექტირების შედეგების მიხედვით, აღნიშნულ ტვირთზე შეიძლება გაიცეს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

ინსპექტირებისადმი ტექნიკური მოთხოვნები ეხება სამ სხვადასხვა პოზიციას:

- ტვირთის თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას;
- ტვირთის იდენტიფიკაციის შემოწმებას;
- ვიზუალურ შემოწმებას მავნე ორგანიზმების არსებობაზე და სხვა ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვაზე (მაგ. ნიადაგის არარსებობაზე);
- საჭიროების შემთხვევაში ნიმუშის აღებას.

ინსპექტირების მომცველი ყველა ზემოთ აღნიშნული პოზიცია უნდა ხორციელდებოდეს როგორც ექსპორტის, ასევე რეექსპორტის რეჟიმით მოძრავ მცენარეებსა და არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებზე.

ექსპორტის/რეექსპორტის დროს ტვირთის თანმხლები დოკუმენტები მოწმდება:

- სრულყოფილობაზე;
- თანმიმდევრულობაზე;
- სიზუსტეზე;
- მოქმედების ვადაზე.

ფიტოსანიტარიულ სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტებად შეიძლება განხილულ იქნას:

- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები;
- იმპორტის ნებართვა;
- დოკუმენტები ან სერტიფიკატები დამუშავების და მარკირების შესახებ (მაგ.

**ISPM №15-ის**<sup>17</sup> შესაბამისად), ან დოკუმენტები სხვა სახის დამუშავების (მაგ. ინაქტივაცია, დევიტალიზაცია) შესახებ;

- მინდორში ინსპექტირების ამსახველი მასალები;
- ლაბორატორიული ანგარიშები;
- წარმოშობის სერტიფიკატები;
- ტვირთის დეკლარირების ამსახველი დოკუმენტები (მ.შ. კონოსამენტები და ფაქტურები);
- კომერციული ფაქტურები.

ტვირთის იდენტიფიკაციის შემოწმებისას ხდება მისი ნამდვილობისა და მთლიანობის დადგენა, რაც გულისხმობს თანმხლებ დოკუმენტებში მოცემული ტვირთის აღწერილობის სიზუსტის შემოწმებას.

ტვირთის ნამდვილობის შემოწმებისას ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება მცენარე ან არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტი განაცხადში და თანმხლებ დოკუმენტებში წარმოდგენილ, ექსპორტის ან რეექსპორტის რეჟიმით გასაგზავნ პროდუქტს.

ტვირთის მთლიანობის შემოწმებისას ხდება იმის გარკვევა თუ რამდენად ნათლად არის შესაძლებელი ტვირთის იდენტიფიცირება (თუ მცენარეები ან არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტები შეფუთულია მუყაოს შესაფუთ მასალაში ან სხვა შეფუთვაში, დგინდება შეფუთვისა და მასში არსებული პროდუქტების სახე/სახეები, ხოლო შეფუთვის არარსებობის შემთხვევაში, დგინდება, ტვირთი ერთგვაროვანია, თუ იგი შედგება სხვადასხვა სახის მცენარეებისაგან ან არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებისაგან) და თუ რამდენად შეესაბამება ტვირთის სტატუსი და რაოდენობა განაცხადში და სხვა თანმხლებ დოკუმენტებში წარმოდგენილ ექსპორტის ან რეექსპორტის რეჟიმით გასაგზავნ პროდუქტებს.

ტვირთის იდენტიფიკაციისა და მთლიანობის შემოწმებისათვის საჭიროა ტვირთის ფიზიკური დათვალიერება.

ვიზუალური შემოწმება არის მცენარეების, მცენარეული პროდუქტების ან სხვა რეგულირებადი ობიექტების ფიზიკური შემოწმება მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით, შეუიარაღებელი თვალის, ლუპის, ბინოკულარის ან მიკროსკოპის საშუალებით, ანალიზისა და დამუშავების გარეშე.

ვიზუალური შემოწმება და მასთან დაკავშირებული ასპექტები ემსახურება:

- ნიმუშების აღებას, მავნე ორგანიზმების გამოვლინებას;
- ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

ფიტოსანიტარიულ სერტიფიკაციას დაქვემდებარებულ პროდუქტებში მავნე ორგანიზმის არსებობის ან არარსებობის დადგენისათვის, ან იმის განსაზღვრისათვის, აღემატება თუ არა მავნე ორგანიზმის რიცხოვნობა მოცემულ დონეს, ყოველი ტვირთის ან პარტიისაგან აიღება ნიმუში [“საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისაგან საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული დაცვის წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 იანვრის №2-7-№33 ერთობლივი ბრძანების](#) შესაბამისად.

ინსპექტირებისას ასევე ხდება ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებზე შეიძლება განხილულ იქნას:

- დამუშავება;

17 ISPM №15 - ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტი.

- გადამუშავების ხარისხი;
- კონტამინაციის გამორიცხვა (მაგ. ფოთლებით ან ნიადაგით);
- მოთხოვნა განვითარების სტადიაზე, ჯიშზე, ფერზე, ასაკზე, სიმწიფის ხარისხზე და სხვა;
- აკრძალული მცენარეების, არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებისა და სხვა რეგულირებადი ობიექტების გამორიცხვა;
- ტვირთების შეფუთვის, ტრანსპორტირების მოთხოვნების დაცვა;
- ტვირთებისა ან პარტიების წარმოშობა;
- შეტანის პუნქტი.

ინსპექტირების შედეგებიდან გამომდინარე დგინდება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ტვირთი ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და ინსპექტორი იღებს გადაწყვეტილებას ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის თაობაზე.

**ლაბორატორიული ანალიზი** ხდება იმ შემთხვევაში თუ ტვირთის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის დასადგენად, ტვირთიდან აღებულ ნიმუშებში გამოვლენილი მავნე ორგანიზმების ან მათი ნაკვალევის და სიმპტომების გარკვევა ვერ ხერხდება ინსპექტორის მიერ და მოითხოვს სპეციალურ ანალიზს ან იდენტიფიკაციას. ასეთი ნიმუშები და გამოვლენილი მავნე ორგანიზმები ილუქება, ხდება მათი დანომრვა და იდენტიფიკაციისათვის ლაბორატორიაში გაგზავნა.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ცალკეული პარტიებიდან დამატებითი ნიმუშების აღება. ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, ინსპექტორი იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი ქმედებების განსახორციელებლად.

**დამუშავება** არის ერთ-ერთი ფიტოსანიტარიული პროცედურა მავნე ორგანიზმების **განადგურების**<sup>18</sup>, **ინაქტივაციის**<sup>19</sup> ან მოცილების, ან მათი **სტერილიზაციისა**<sup>20</sup> და **დევიტალიზაციისათვის**<sup>21</sup>.

უფლებამოსილი პირის (ინსპექტორის) მიერ ხდება ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემამდე ჩატარებული ყველა ფიტოსანიტარიული პროცედურის აღრიცხვა. ფიტოსანიტარიული პროცედურების შესახებ დგება აქტი ორ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი გადაეცემა განმცხადებელს, ხოლო მეორე ინახება გამცემ ორგანოში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შევსება ხდება სურსათის ეროვნული სააგენტოსა ან შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ, მცენარეთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ივსება ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური) ან რუსულ ენაზე და მზადდება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ასევე, შესაძლებელია მისი

18 მავნე ორგანიზმების განადგურებაში იგულისხმება ISPM №15-ით გათვალისწინებული დამუშავებისა და სხვა მეთოდების გამოყენება.

19 ინაქტივაცია არის პროცედურა, რომლის შედეგადაც მიკროორგანიზმები კარგავენ განვითარების უნარს.

20 სტერილიზაცია არის პროცედურა, რომლის შემდეგაც მავნე ორგანიზმები კარგავენ რეპროდუქციის უნარს.

21 დევიტალიზაცია არის პროცედურა, რომლის შემდეგაც მცენარე და მცენარეული პროდუქტები კარგავენ გაღვივის, ზრდა-განვითარებისა და რეპროდუქციის უნარს.



ელექტრონულად შეესება. მასში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია მისი გადახაზვა, გადაფხევა, გადაშლა და სხვა.

ჩასწორებები ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებში თავიდან უნდა იქნეს აცილებული, ვინაიდან მათ, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის სარწმუნოებასთან დაკავშირებით გაუგებრობა შეიძლება შექმნან. თუმცა, ჩასწორების აუცილებლობის შემთხვევაში, ის უნდა მოხდეს მხოლოდ ორიგინალ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატზე, გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ჩასწორებები უნდა იყოს მინიმალური, უნდა დამონმდეს ხელმოწერითა და შტამპით, დათარიღდეს სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ტვირთის ქვეყნის ტერიტორიიდან გატანა, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემიდან 14 კალენდარული დღის ვადაში უნდა მოხდეს.

სერტიფიკატების დაზიანების ან მათში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი სერტიფიკატი. ასეთ შემთხვევაში ძველი სერტიფიკატი გადაიხაზება ჯვარედინად და უფლებამოსილი პირის მიერ შედგება, აქტი სერტიფიკატის გაუქმების მიზეზის მითითებით.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ექსკლუზიური ნუმერაცია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გასაცემი სერტიფიკატის ფორმებზე იწყება ციფრით “1”, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ გასაცემი სერტიფიკატის ფორმებზე – ციფრით “2”.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ივსება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება გამცემ ორგანოს, ორი კი გადაეცემა ტვირთის მფლობელს (ან ტვირთის მფლობელის ნდობით აღჭურვილ პირს), რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ტვირთის მფლობელს, მეორე კი ტვირთის თანმხლებია.

რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა, თუ:

- ტვირთი იმპორტირებულია საქართველოში და შემდგომ ხორციელდება მისი ექსპორტი სხვა ქვეყანაში;
- უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია, რომ იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნები დაკმაყოფილებს;
- ტვირთი დასაწყობდა, დანაწევრდა, მოხდა სხვა ტვირთებთან შერევა ან შეფუთვის შეცვლა იმ პირობით, რომ მათ არ განუცდიათ მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნება ან კონტამინაცია.

რეექსპორტის შემთხვევაში ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დედანი ან მისი დამონმებული ასლი მიჰყვება ტვირთს.

თუ იმპორტირებული ტვირთი იმყოფებოდა მავნე ორგანიზმებისაგან დასნებოვნების ან კონტამინაციის საშიშროების ქვეშ, ან შეცვლილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა ან მთლიანობა, ასეთ ტვირთზე ქვეყნიდან გატანისას გაიცემა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში მიეთითება წარმოშობის ქვეყანა — საქართველო (შეიძლება ასევე მითითებული იქნას ის ქვეყანა სადაც თავდაპირველად შეიძინა პროდუქციამ ფიტოსანიტარიული სტატუსი).

ტრანზიტული ტვირთის შემთხვევაში, თუ არ მოხდა ტვირთის მავნე ორგანიზმებით დასნებოვნება ან კონტამინაცია, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ გაიცემა.

თუ მოხდა ტვირთის მავნე ორგანიზმებით დასნებოვნება ან კონტამინაცია, მაშინ გაიცემა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დანართის შევსება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან სერტიფიკატის შესაბამის გრაფაში ჩასაწერი ინფორმაცია აღემატება აღნიშნული რეექსპორტის ფიტოსანიტარიული გრაფის ზომას.

ნებისმიერ დანართს, რომელიც შეიცავს ფიტოსანიტარიულ ინფორმაციას, უნდა ჰქონდეს ამ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ნომერი და უნდა იყოს დათარიღებული, ხელმოწერილი და ბეჭდით დამონმბებული, ამ ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის მსგავსად.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შესაბამის გრაფაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ მასში ჩასაწერი ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში.

დანართი არ უნდა შეიცავდეს იმ სახის ინფორმაციას, რომელიც ფიტოსანიტარიული სერტიფიკატში ან რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში არ იწერება მაშინაც კი, როდესაც მასში არის საკმარისი ადგილი. თუ დანართის მოცულობა აღემატება ერთ გვერდს, მაშინ ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი და გვერდების რაოდენობა უნდა იყოს მითითებული ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატში.

ტვირთს, ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებთან ერთად, შეიძლება ახლდეს სხვა დოკუმენტები, ისეთი როგორცაა ფლორისა და ფაუნის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით სარტაშორისო ვაჭრობის კონვენციის (CITES) სერტიფიკატები, მაგრამ ეს დოკუმენტები არ უნდა ჩაითვალოს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების დანართად. ასევე, ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებში არ უნდა იყოს მინიშნება მსგავს დოკუმენტებზე.

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დუბლიკატი** არის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალის ასლი, რომელიც არის დადასტურებული (ბეჭდით, თარიღით და ხელმოწერით) სურსათის ეროვნული სააგენტოსა ან შემოსავლების სამსახურის მიერ და რომელიც აღნიშნავს, რომ ეს არის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალის შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე ასლი. იგი შეიძლება გაიცეს ექსპორტიორის მოთხოვნისას. იგი არ ჩაანაცვლებს ორიგინალს. ამგვარი ასლები ძირითადად გაიცემა რეექსპორტის მიზნებისათვის.

**ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები შეიძლება გამოიცვალოს** ექსპორტიორის მოთხოვნით იმ ტვირთისათვის, რომელზეც უკვე გაცემული იყო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგ, გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დაზიანება; მისამართის, დანიშნულების ქვეყნის ან შეტანის პუნქტის შეცვლა; ინფორმაციის გამოტოვება ან არასწორი ინფორმაცია) და უნდა გაიცეს შესაცვლელი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ.

ყველა შემთხვევაში, გამცემმა ორგანომ უნდა მოთხოვოს ექსპორტიორს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ორიგინალის და ამ ტვირთზე გაცემული ყველა დუბლიკატების დაბრუნება.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატების გამოცვლასთან დაკავშირებით სხვა მოთხოვნებია:

- შესაცვლელად დაბრუნებული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები უნდა გაუქმდეს და გაუქმებული ფორმები შენახულ უნდა იქნეს გამცემ ორგანოში;



- ახალ ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს არ უნდა ჰქონდეს იგივე ნომერი რაც შეცვლილს; მაგრამ დამატებით დეკლარაციაში უნდა მიეთითოს განაცხადი იმის თაობაზე, რომ “ამ სერტიფიკატით შეიცვალა გაუქმებული სერტიფიკატი № (ჩაწერეთ ნომერი) გაცემული (ჩაწერეთ თარიღი)”.

თუ ადრე გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის დაბრუნება შეუძლებელია და აღარ იმყოფება გამცემი ორგანოს პასუხისმგებლობისა და კონტროლის ფარგლებში (მაგალითად, დიკარგა ან სხვა ქვეყანაში), გამცემმა ორგანომ შეიძლება მიიღოს სერტიფიკატის შეცვლის გადაწყვეტილება.

### 3. ევროკავშირში მოქმედი საგარეოეკონომიკური რეგულირება

ევროკავშირის ბაზარზე არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის (მ.შ. მწვანე ხაჭაპურისა და თხილის) წარმოება, გადამამუშავება, დისტრიბუცია და იმპორტი რეგულირდება ევროკავშირში მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, როგორცაა: რეგულაციები, დირექტივები, გადაწყვეტილებები და სტანდარტები.

#### 3.1. სურსათის ჰიგიენა

სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის მთავარ საკანონმდებლო აქტს [ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის №178/2002 რეგულაცია](#) წარმოადგენს.

სხენებული რეგულაცია შეეხება სურსათის შესახებ კანონის ზოგად საფუძვლებსა და მოთხოვნებს, “სურსათის უვნებლობის საკითხში ევროკავშირის უზენაესი ორგანოს” შექმნასა და პროცედურებს სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

ამ რეგულაციით აღიარებული იქნა ინტეგრირებული მიდგომა “ფერმიდან სუფრამდე”, რომლის მიხედვითაც აქცენტი საბოლოო პროდუქტის შემოწმებიდან გადავიდა სურსათის წარმოების პროცესის მთელი ციკლის კონტროლზე.

ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2002 წლის 28 იანვრის №178/2002 რეგულაციის შესაბამისად, სურსათის ბიზნესოპერატორებმა, უნდა დაგეგმონ სურსათის მიწოდების უსაფრთხო სისტემა და უზრუნველყონ მათ მიერ წარმოებული სურსათის უვნებლობა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2002 წლის 28 იანვრის №178/2002 რეგულაციის მიხედვით, ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებლობა სურსათის იმპორტიორს ეკისრება.

თუ იმპორტიორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ ევროკავშირში შეტანილი სურსათი არ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, მან დაუყოვნებლივ უნდა ამოიღოს საეჭვო სურსათი ბაზრიდან და ამის შესახებ აცნობოს ევროკავშირის შესაბამისი წევრი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებას.

იმ შემთხვევაში, თუ საეჭვო სურსათმა უკვე მიაღწია მომხმარებელამდე, იმპორტიორმა სათანადო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ამ სურსათის ბაზრიდან ამოღების თაობაზე.

სურსათის მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად იმპორტიორი ვალდებულია ფლობდეს ინფორმაციას, როგორც სურსათის წარმოშობის, ასევე მწარმოებლის შესახებ.

სურსათი, რომელიც განკუთვნილია ევროკავშირის ბაზარზე შესატანად უნდა იყოს ეტიკეტირებული მისი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის მეშვეობით. ამ მიზნით ბიზნესოპერატორებს უნდა ჰქონდეთ შემოღებული სისტემები და პროცედურები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოთხოვნისამებრ წარედგინება კომპეტენტურ ორგანოებს.

სურსათის ეტიკეტირებამ, რეკლამირებამ და პრეზენტაციამ, მათმა ფორმამ, გარეგნულმა მხარემ ან შეფუთვამ, გამოყენებულმა შესაფუთმა მასალამ, წარდგენის ან დახლზე განთავსების მეთოდმა და მათ შესახებ ნებისმიერი საშუალებით ხელმისაწვდომმა ინფორმაციამ არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი შეცდომაში.

თუ დასაბუთებულია, რომ მესამე ქვეყნიდან იმპორტირებულმა სურსათმა შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს, და რომ ამ რისკის აღმოფხვრა მიღებული ზომებით შეუძლებელია, ამ შემთხვევაში ევროკავშირის კომპეტენტური უწყებების მიერ გატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- სურსათის იმპორტის შეჩერება მესამე ქვეყნიდან, ან მისი ნაწილიდან, ან საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიტის ქვეყნიდან;
- სპეციფიკური პირობების განსაზღვრა მოცემული სურსათისადმი მთლიანად მესამე ქვეყნიდან, ან მისი ნაწილიდან;
- ნებისმიერი სხვა შესაბამისი გარდამავალი ზომა.

[ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის №852/2004 რეგულაცია](#) აწესებს სურსათის ჰიგიენის ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც ბიზნესოპერატორებმა უნდა დააკმაყოფილონ.

სურსათთან დაკავშირებული საფრთხე უნდა იქნას გამოვლენილი პირველადი წარმოების ეტაპზე და შესაბამისად გაკონტროლდეს, რათა დაცული იქნას ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესების მოთხოვნები.

ვინაიდან პირველადი წარმოების მიმართ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) გამოყენება ჯერჯერობით განუხორციელებელია, ბიზნესოპერატორებს მეურნეობის დონეზე დანერგილი უნდა ჰქონდეთ სათანადო სანარმოო და ჰიგიენური პრაქტიკა (**GMP<sup>22</sup>**, **GHP<sup>23</sup>**).

სურსათის ბიზნესოპერატორების მიმართ უნდა განხორციელდეს ოფიციალური კონტროლი, რათა შემომდეს რამდენად იცავენ ისინი წარმოებისადმი ნაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო მათ უნდა შეიმუშაონ უსაფრთხოების პროგრამები და პროცედურები HACCP-ის პრინციპებზე დაყრდნობით.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის №852/2004 რეგულაციის მიხედვით, სურსათის ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

- დაიცვას სურსათისთვის განსაზღვრული მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები;
- დაიცვას ამ მარეგულირებელ წესებში მითითებული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი პროცედურები;
- აკონტროლოს სურსათის მიმოქცევის დროს შესაბამისი ტემპერატურა;
- პერიოდულად აწარმოოს სურსათის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული ანალიზი;
- დაიცვას სურსათი ჰაერისგან, ნიადაგისგან, წყლისგან, სასუქისგან, ცხოველების, მავნებლების და სხვა შესაძლო ფაქტორებით გამოწვეული დაბინძურებისგან;
- სურსათს განარიდოს დაბინძურების საფრთხის შემცველი ნივთიერებები;

22 GMP – (Good Manufacturing Practice) სანიმუშო სანარმოო პრაქტიკა.

23 GHP – (Good Hygienic Practice) სანიმუშო ჰიგიენის პრაქტიკა.



### 3.2. ეტიკეტირება

სურსათის ეტიკეტირებას არეგულირებს [ვეროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2000 წლის 20 მარტის №2000/13/EC დირექტივა](#).

აღნიშნული დირექტივა ეხება მომხმარებლისათვის მისაწოდებელი სურსათის ეტიკეტირებას, მისი წარდგენის და რეკლამირების კონკრეტულ ასპექტებს.

ეს დირექტივა ავალდებულებს ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს მკაცრად დაცვან დადგენილი წესები და მოთხოვნები.

სურსათის ეტიკეტზე აუცილებელად უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია:

- სურსათის დასახელება;
- სურსათის მწარმოებლის, დამფასებლის, ან ევროკავშირის ბაზარზე დისტრიბუტორის სახელი და მისამართი;
- სურსათის წარმოშობის ქვეყანა და წარმოების ადგილი;
- სურსათის რაოდენობა (ლიტრი, მილილიტრი, კილოგრამი ან გრამი);
- ვარგისიანობის ვადა სიტყვებით “ვარგისია - (თარიღი)-მდე” ან “ვარგისია (თარიღი)-ის ბოლომდე”. ისეთი სურსათის შემთხვევაში, რომელიც არ ინახება სამ თვეზე მეტი ხნის განმალვობაში საკმარისია დღისა და თვის მითითება, რომელიც ინახება სამ თვეზე მეტ ხანს, მაგრამ არა უმეტეს 18 თვისა საკმარისია თვის და წლის მითითება, ხოლო სურსათისთვის, რომელიც ინახება 18 თვეზე მეტ ხანს, საკმარისია მხოლოდ წლის მითითება.
- შენახვის ან გამოყენების რაიმე განსაკუთრებული პირობები;
- სურსათის შემადგენელი **ინგრედიენტების**<sup>24</sup> ჩამონათვალი;
- ზოგიერთ კომპონენტთან დაკავშირებით მოითხოვება შესაბამისი მინიშნება ეტიკეტზე (მაგ: გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, წარმოებაში გამოყენებული აირები, დამატკობელი ნივთიერებები, ასპარტამი, კოფეინი, ქინინი და სხვა).

ეტიკეტზე აკრძალულია ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი:

- სურსათის თვისებებთან, განსაკუთრებით კი მის ხარისხთან, შემადგენლობასთან, რაოდენობასთან, წარმოების ადგილთან ან წარმოშობასთან, წარმოების მეთოდთან დაკავშირებით;
- სურსათზე ისეთი ეფექტების ან თვისებების მიწერით, რომელსაც ის არ ფლობს;
- კონკრეტული სურსათისათვის სპეციალური თვისებების მიწერით, როდესაც სხვა მსგავსი პროდუქტის ფლობს ამგვარ თვისებას.

ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის აკრძალვა ან შეზღუდვა ასევე ეხება:

- სურსათის წარდგენას, კერძოდ მის ფორმას, ვიზუალურ მხარეს ან შეფუთვის, გამოყენებულ შესაფუთ მასალას, მომზადების მეთოდს;
- რეკლამირებას.

ინგრედიენტებისა და ვარგისიანობის ვადის მითითება აუცილებელი არ არის ახალ ხილსა და ბოსტნეულზე.

[ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის 2003/89/EC დირექტივის](#) მიხედვით, ალერგიული ეფექტის მქონე ინგრედიენტები, ტექნოლოგიური

<sup>24</sup> ინგრედიენტი ნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, მათ შორის დანამატს, რომელიც გამოყენებულია საკვები პროდუქტის წარმოებაში ან მომზადებაში და არსებობს მზა პროდუქტში, თუნდაც შეცვლილი ფორმით.

დანამატები და სხვა ნივთიერებები ექვემდებარება ეტიკეტზე აუცილებელ აღნიშვნას, რათა მომხმარებლები, რომლებსაც ამ პროდუქტების მიმართ ალერგია აქვთ სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი.

### 3.3. მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები

[ევროკომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის №2073/2005 რეგულაცია](#) ადგენს სპეციფიკურ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებსა და მათ ლიმიტებს სხვადასხვა სახეობის სურსათისათვის, მათ შორის არააცხოველებული წარმოშობის სურსათისათვის.

საღმონელას გავრცელების საფრთხესთან დაკავშირებით, რეგულაციაში აღნიშნულია მზა სასურსათო პროდუქტების შემდეგი კატეგორიები:

- აყვავებული თესლი;
- დაჭრილი ხილი და ბოსტნეული.

ოფიციალური შემოწმებისთვის უნდა მოხდეს ნიმუშის 5 ერთეულად აღება. საღმონელას თუნდაც ერთ ერთეულში (25 გრამში) აღმოჩენის შემთხვევაში პროდუქტი არ უნდა იქნას დაშვებული ბაზარზე.

ლისტერიის (*Listeria monocytogenes*) ლაბორატორიული კვლევა წარმოებს მზა სასურსათო პროდუქტებში. ოფიციალური შემოწმებისთვის უნდა მოხდეს ნიმუშის 5 ერთეულად აღება. თითოეულ ერთეულში დასაშვებია არაუმეტეს 100 კნე/გ. (**მიკროორგანიზმების კოლონიის წარმოქმნელი ერთეული/გრამზე<sup>25</sup>**).

ლისტერიის ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება უშუალოდ საწარმოო პროცესისა და ბაზარზე განთავსების ეტაპებზე.

ნაწლავის ჩხირის (*E.coli*) დასაშვები რაოდენობები ნორმირდება საკვებად გამზადებული “დაჭრილი ხილისა და ბოსტნეულის” კატეგორიის სურსათისათვის.

გამოსაკვლევად აღებული უნდა იყოს სურსათის ნიმუში 5 ერთეულად.

ლაბორატორიული ანალიზის შედეგები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- დამაკმაყოფილებელია თუ ხუთივე გამოკვლეულ ერთეულში შედეგები არ აღემატება 100კნე/გ;
- დასაშვებია თუ 5-დან არაუმეტეს 2 ერთეულში მიღებული შედეგი 100-1000კნე/გ ფარგლებშია, ხოლო დანარჩენ 3 ერთეულში არ აღემატება 100კნე/გ;
- არადამაკმაყოფილებელია თუ 5-დან თუნდაც ერთ ერთეულში აჭარბებს 1000კნე/გ, ან 3 და მეტ ერთეულში 100-1000 კნე/გ შორისაა.

ნაწლავის ჩხირის (*E.coli*) ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება მწარმოებლის მიერ, საწარმოო პროცესის დროს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სურსათისათვის დაწესებული მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების დაცვა და მათი მონიტორინგი, მათ შორის იმპორტირებულ სურსათზე. ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური უწყება ახდენს ამ კრიტერიუმების მიხედვით სურსათის შემოწმებას, როგორც ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის პუნქტში, ასევე ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრის შემდეგ.

კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, იმპორტისთვის განკუთვნილი სურსათი ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფო ამის შესახებ ევროკომისიას აცნობებს. თუ იმპორტი უკვე განხორციელდა და მავნებელმა სურსათმა მომხმარებელამდე მიაღწია, იგი ბაზრიდან ამოღებულ უნდა იქნას და იმ-

25 [http://ec.europa.eu/atoz\\_en.htm](http://ec.europa.eu/atoz_en.htm)

პორტიორს ეკისრება მომხმარებლის სათანადოდ ინფორმირების ვალდებულება.

ვეროკავშირის ბაზარზე შეტანილი სურსათი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის დამაბინძურებელი (კონტამინანტები) ნივთიერებების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის №1881/2006 რეგულაცია ადგენს გარკვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ზღვრულ დონეს არაცხოველური ნარმოშობის სურსათისათვის, მათ შორის: მწვანელში, თხილსა და სუნელებში. ამ რეგულაციით ნორმირებულია:

- ნიტრატის (NO<sub>3</sub>) შემცველობა ისპანახსა და სალათაში;
- სხვადასხვა მიკოტოქსინების (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, G<sub>1</sub>, G<sub>2</sub>) შემცველობა თხილსა და სუნელებში (მ.შ. დაფნის ფოთოლში);
- მიძიმე მეტალების (ტყვია, კადმიუმი) შემცველობა მწვანელში.

დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ნორმატივები მწვანლის, თხილისა და სუნელებისთვის (დაფნის ფოთლის ჩათვლით) მოცემულია ცხრილში №4.

**ცხრილი №4**

**მწვანლის, თხილისა და სუნელების ქიმიური მაჩვენებლები**

| პროდუქტების ჯგუფი                                       | ქიმიური მაჩვენებლები  | ზღვრული დონეები მკგ/კგ, არა უმეტეს |
|---|---|------------------------------------|
| მწვანელი  | ტყვია<br>კადმიუმი   | 100<br>200                         |
| თხილი (არადაფასოებული, გადამუშავებისთვის)               | აფლატოქსინი B <sub>1</sub><br>B <sub>1</sub> + B <sub>2</sub> +G <sub>1</sub> +G <sub>2</sub> | 5<br>10                            |
| თხილი (დაფასოებული, საკვებად პირდაპირ გამოყენებისათვის) | აფლატოქსინი B <sub>1</sub><br>B <sub>1</sub> +B <sub>2</sub> +G <sub>1</sub> +G <sub>2</sub>  | 2<br>4                             |
| სუნელები (დაფნის ფოთლის ჩათვლით)                        | აფლატოქსინი B <sub>1</sub><br>B <sub>1</sub> +B <sub>2</sub> +G <sub>1</sub> +G <sub>2</sub>  | 5<br>10                            |

როგორც მწვანლის, დაფნის ფოთლისა და თხილისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ზღვრული დასაშვები დონეების (ქვეთავი 2.7., ცხრილები №1; №2 და №3) და ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული იგივე მაჩვენებლების ზღვრული დასაშვები დონეების (ქვეთავი 3.3., ცხრილი №4) შედარებიდან ჩანს, საქართველოს და ევროკავშირის მიერ ამ მოთხოვნების მიმართ დადგენილ ნორმებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ამჟამად საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები აქტიურად მუშაობენ ზემოაღნიშნული ნორმატივების დასაახლოებლად.

აღნიშნული მოთხოვნების დაცვა მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის ბაზარზე მწვანლის, დაფნის ფოთლისა და თხილის იმპორტისას. ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე სურსათს უტარდება შერჩევითი ლაბორატორიული კონტროლი. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ევროკავშირის შესაბამისი ნევრი ქვეყნის კომპეტენტური უწყებები იმპორტს შეაჩერებენ.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის №396/2005 რეგულაცია აწესებს პესტიციდების ნარჩენის ზღვრულ დონეს (MRLs– Maximum Residue Levels) დაახლოებით 600 სუბსტანციისთვის, რაც დანე-



რილებით არის მოცემული ევროკავშირის პესტიციდების **მონაცემთა ბაზაში**<sup>26</sup>.

[ევროკავშირის საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის №79/117 დირექტივაში](#) მოცემულია სურსათის წარმოებაში გამოყენებისთვის აკრძალული პესტიციდები.

მწვანის, დაფნის ფოთლისა და თხილის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ექსპორტისთვის განკუთვნილ სურსათში პესტიციდების რაოდენობა არ აღემატებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ პესტიციდების ნარჩენის ზღვრულ რაოდენობას.

ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას ჩატარებული შერჩევითი შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, ტვირთი ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება. ექსპორტირებმა ასევე თვალყური უნდა ადევნონ ნარჩენის ზღვრულად დაშვებული რაოდენობის ცვლილებას, რათა ევროკავშირის ახალი მოთხოვნები დროულად (ექსპორტის განხორციელებამდე) იქნეს გათვალისწინებული.

სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობა ასევე არეგულირებს სურსათში საკვებდანამატების დასაშვებ რაოდენობას.

[ევროკავშირის საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის №89/107 დირექტივის](#) მიხედვით, საკვებდანამატების უმეტესობის გამოყენება, გარკვეული სურსათისათვის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითაა დაშვებული.

ზოგიერთი საკვებდანამატისთვის არ არის დაწესებული მაქსიმალური ზღვარი, თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს სათანადო სანარმოო პრაქტიკის შესაბამისად, ისეთი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია კონკრეტული მიზნის მისაღწევად და რაც არ იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

საკვებდანამატი, ასეთის შემცველობის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს სურსათის ეტიკეტზე.

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათის ევროკავშირის ბაზარზე მიმოქცევის არეგულირებს [ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის №1829/2003](#) და [№1830/2003](#) რეგულაციები და [2001 წლის 12 მარტის №2001/18/EC დირექტივა](#).

სასურსათო პროდუქტში, რომელშიც გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები სურსათის საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, ექვემდებარება ეტიკეტზე აუცილებელ აღნიშვნას.

### 3.4. მარკეტინგული სტანდარტები

მესამე ქვეყნიდან არაცხოველური წარმოშობის სურსათის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის წესების უმრავლესობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების **საინსპექციო ორგანოები**<sup>27</sup> დოკუმენტური და/ან ფიზიკური ინსპექტირებით უზრუნველყოფენ იმპორტისთვის განკუთვნილი არაცხოველური წარმოშობის სურსათის ზოგად და სპეციფიკურ მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას და გაცემენ შესაბამისობის სერტიფიკატს რაც აუცილებელია ამ სახის სურსათის ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას.

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მარკეტინგის წესებს, სპეციფიკურ დებულებებს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისთვის, ასე-

26 [http://ec.europa.eu/sanco\\_pesticides/public/index.cfm](http://ec.europa.eu/sanco_pesticides/public/index.cfm)

27 საინსპექციო ორგანოები - ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განსაზღვრული საინსპექციო ორგანოები, რომელც პასუხისმგებელია არაცხოველური წარმოშობის სურსათის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე, პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე.

ვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის რეჟიმებს [ვეროკავშირის საბჭოს 2007 წლის 22 ოქტომბრის №1234/2007 რეგულაცია](#) განსაზღვრავს.

ვეროკავშირის საბჭოს ზემოაღნიშნულ რეგულაციაზე დაყრდნობით, ვეროკომისიამ შეიმუშავა [2008 წლის 5 დეკემბრის №1221/2008 რეგულაცია](#), რომელიც განსაზღვრავს ხილისა და ბოსტნულის ზოგად და სპეციფიკურ მარკეტინგულ სტანდარტებს და ექსპორტ/იმპორტის პროცედურებს. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, არაცხოველური წარმოშობის სურსათის (მათ შორის მწვანე ხაჭაპურის და ნაჭუჭიანი თხილი) ვეროკავშირის ბაზარზე რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ისეთ ზოგად მარკეტინგულ სტანდარტებს, როგორცაა:

- ხარისხის მინიმალური მოთხოვნები;
- სიმწიფის მინიმალური მოთხოვნები;
- გადაცდომა მოთხოვნებიდან და
- პროდუქციის წარმოშობის აღნიშვნა.

[ვეროკომისიის 2011 წლის 7 ივნისის №543/2011 რეგულაციის](#) თანახმად, გარჩეული თხილი (CN<sup>28</sup> code 080222), გარჩეული კაკალი (CN code 080232), მინის თხილი (CN code 08025000), ავსტრალიური კაკალი (CN code 08026000), სხვა სახის თხილი (CN code 08029085), ტროპიკული თხილის ნარევი (CN code 08135031) და სხვა სახის თხილის ნარევი (CN code 08135039) თავისუფალია ზოგადი მარკეტინგული სტანდარტების მოთხოვნებისგან.

მარკეტინგულ სტანდარტებს (არც ზოგადს და არც სპეციფიკურს) არ ექვემდებარება დაფნის ფოთოლი. აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები არ ვრცელდება თხილზე და მწვანე ხაჭაპურზე. ნაჭუჭიანი თხილზე, ნაჭუჭიანი კაკალზე და ნიახურზე სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტები გაუქმდა [ვეროკომისიის 2008 წლის 5 დეკემბრის №1221/2008 რეგულაციის](#) მიღების შემდეგ, რომლის პრეამბულის მე-10 პუნქტმაც გააუქმა [ვეროკომისიის 2002 წლის 15 ივლისის №1284/2002 რეგულაცია](#) (ნაჭუჭიანი თხილის სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტი), [ვეროკომისიის 2001 წლის 26 იანვრის №175/2001 რეგულაცია](#) (ნაჭუჭიანი კაკლის სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტი) და [ვეროკომისიის 1987 წლის 5 ივნისის №1591/87 რეგულაცია](#) (ნიახურის სპეციფიკური მარკეტინგული სტანდარტი).

შემდგომი გადამუშავების მიზნით, არაცხოველური წარმოშობის სურსათის ვეროკავშირში იმპორტისას, ვეროკავშირის მარკეტინგული სტანდარტების დაკმაყოფილება არ მოითხოვება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში პროდუქციის შეფუთვაზე აუცილებლად უნდა იყოს ეტიკეტი, რომელზეც მკაფიოდ იქნება მითითებული: “გამიზნულია გადამუშავებისთვის”.

დანვრილებითი ინფორმაცია არაცხოველური წარმოშობის სურსათის მარკეტინგულ სტანდარტებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ ვეროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ 2010 წელს გამოცემული პუბლიკაციის [“მესამე ქვეყნებიდან ვეროკავშირის ბაზარზე ახალი ხილისა და ბოსტნულის ექსპორტის საკითხები”](#) მე-2 თავში.

28 CN – კომბინირებული ნომენკლატურა – ვეროკავშირის საიმპორტო ტარიფის ერთიანი სტატისტიკური და სატარიფო ნომენკლატურა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვეროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს 2008 წლის პუბლიკაცია: “ვეროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგვის თავისებურებანი” ([www.eugbc.net](http://www.eugbc.net)).



### 3.5. მცენარეთა სიჯანსაღისა და ფიტოსანიტარიული მოთხოვნები

**მცენარის სიჯანსაღისა და ფიტოსანიტარიული მოთხოვნები**<sup>29</sup> მცენარეებსა და არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებზე მოცემულია [ვეროკავშირის საბჭოს 2000 წლის 8 მაისის №2000/29 დირექტივაში](#).

ფიტოსანიტარიული მოთხოვნები ვრცელდება მწვანეზე, თხილსა და დაფნის ფოთოლზე და მათი დაცვა აუცილებელია მესამე ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან ხსენებული სურსათის ვეროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებისას.

აღნიშნული დირექტივის თანახმად, ზოგიერთ მცენარესა და არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტს, ვეროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას უნდა ახლდეს მესამე ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ გაცემული “ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი” ან “ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი რეექსპორტისათვის” (იხ. დანართი №2 და დანართი №3).

საერთაშორისო ვაჭრობის დროს ხის ტარისა და შესაფუთი მასალის მიმოქცევა რეგულირდება [ფიტოსანიტარიული ზომების №15 საერთაშორისო სტანდარტით \(ISPM №15\)](#) განსაზღვრული ფიტოსანიტარიული ზომებით.

აღნიშნული სტანდარტი აღწერს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელიც ყველა ქვეყნის მიერ გამოიყენება ხის ტარისა და შესაფუთი მასალის მიმართ, ამ მასალებით საკარანტინო და სხვა საშუალებები მავნე ორგანიზმების შეტანისა და გავრცელების რისკის შემცირების მიზნით.

აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება ხის ტარისა და შესაფუთი მასალის ყველა სახეობაზე, რომლებიც შეიძლება იყვნენ მავნე ორგანიზმების გადამტანი, ან წარმოადგენდნენ საფრთხეს ცოცხალი ხეებისათვის.

ხის ტარასა და შესაფუთი მასალას განეკუთვნება:

- შესაფუთი ბლოკები;
- კოლოფები;
- ყუთები;
- სამაგრი მერქანი;
- ქვეშადადები;
- საკაბელო დოლები;
- კოჭები და სხვ.

აღნიშნული მასალა პრაქტიკულად გვხვდება ნებისმიერ იმპორტირებულ ტვირთებში, ისეთი ტვირთების ჩათვლით, რომლებიც ფიტოსანიტარიულ კონტროლს არ ექვემდებარება.

ISPM №15 სტანდარტით გათვალისწინებული ზომები დაბალი რისკის გამო არ ვრცელდება შემდეგ მასალებზე:

- თხელი მერქნისაგან (6 მმ. და ნაკლები სისქის) დამზადებული ხის ტარა და შესაფუთი მასალა;
- მთლიანად გადამუშავებული მერქნისაგან (მრავალმრიანი შენებილი ფირფიცარი, მერქან-ბურბუმელოვანი ფილები) დამზადებული ხის ტარა და შესაფუთი მასალა, რომელიც დამზადდა ნებოს, სითბოს, წნევის ან მათი კომბინაციის გამოყენებით;
- ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხის კასრებზე, რომლებმაც დამზადებისას თბური დამუშავება გაიარეს;

<sup>29</sup> მცენარის სიჯანსაღისა და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებზე დანერგვითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვეროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ 2010 წელს გამოცემული პუბლიკაციის – “მესამე ქვეყნებიდან ვეროკავშირის ბაზარზე ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის საკითხები” მე-4 თავში ([www.eugbc.net](http://www.eugbc.net)).

- ღვინის, სიგარეტის ან სხვა საქონლისათვის ხისგან დამზადებული სასაჩუქრე კოლოფები, რომლებიც გადამუშავებული ან დამუშავებული იქნა იმგვარად, რაც გამოორიცხავს მავნე ორგანიზმებით დასნებოვნებას;
- ნახერხი, ხის ბურბუშელა და ხის ბენვი (წვრილი შესაფუთი ბურბუშელა);
- ხის დეტალები, რომლებიც მუდმივად და მამგრებული სატიერთო ავტომანქანებსა და კონტეინერებზე.

სტანდარტში აღწერილი ფიტოსანიტარიული ზომები მოიცავს ხის ტარისა და შესაფუთი მასალის დამუშავებისა და მარკირების პროცედურებს.

მარკირების შემოღებით გამოირიცხა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გამოყენების აუცილებლობა, რადგანაც მარკირებით დასტურდება საერთაშორისოდ მიღებული ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენება. ეს ფიტოსანიტარიული ზომები მიღებული უნდა იქნას მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ყველა ეროვნული ორგანიზაციის მიერ, როგორც ხის ტარისა და შესაფუთი მასალის შემოტანის საფუძველი დამატებითი სპეციალური მოთხოვნების გარეშე.

საერთაშორისო ვაჭრობაში მიმოქცევადი ხის ტარა და შესაფუთი მასალა უნდა იყოს დამუშავებული ბრომმეთილით ან თერმულად. ხის ტარა და შესაფუთი მასალა, მიუხედავად იმისა რით არის ის დამუშავებული, კანგაცლილი მერქნისაგან უნდა იყოს დამზადებული.

დასაშვებია ქერქის ნარჩენებიანი ხის ტარის ან შესაფუთი მასალის გამოყენება თუ:

- ნარჩენი ქერქი სიგანეში 3 სმ-ზე ნაკლებია (სიგანის მიუხედავად);
- 3 სმ-ზე განიერია, მაგრამ ერთი ნარჩენი ქერქის საერთო ფართობი 50 სმ<sup>2</sup>-ზე ნაკლებია.

მეთილბრომიდით ხის ტარის დამუშავებამდე მას ქერქი უნდა გაცვალოს, ვინაიდან ქერქი დამუშავების ეფექტურობას აქვეითებს. თერმული დამუშავების შემთხვევაში, ქერქის გაცლა შეიძლება როგორც დამუშავებამდე, ასევე დამუშავების შემდეგ.

თერმული დამუშავება ნიშნავს, რომ მერქანმა ან ხის ტარამ და შესაფუთმა მასალამ იმგვარი თერმული ფიტოსანიტარიული დამუშავება გაიარა, რომ შრობის პროცესში მერქანის მთელ სისქეზე (შუაგულის ჩათვლით), არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში, მინიმუმ 56°C ტემპერატურა მიიღწეოდა.



ხის ტარისა და შესაფუთი მასალის ბრომმეთილით ფუმიგაციისას დამუშავების სქემის ერთი მაგალითი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ნამოყენებული მოთხოვნების შესასრულებლად ნაჩვენებია ცხრილში №5.

ცხრილი №5

**ხის ტარისა და შესაფუთი მასალის ბრომმეთილით ფუმიგაციისას დამუშავების ერთ-ერთი სქემა**

| ტემპერატურა  | ბრომმეთილის დოზა (გ/მ <sup>3</sup> ) | ბრომმეთილის მინიმალური კონცენტრაცია (გ/მ <sup>3</sup> ) სთ-ის შემდეგ |         |          |
|--------------|--------------------------------------|--|---------|----------|
|              |                                      | 2 საათი  | 4 საათი | 24 საათი |
| 21°C ან მეტი | 48                                   | 36   | 31      | 24       |
| 16°C ან მეტი | 56                                   | 42   | 36      | 28       |
| 10°C ან მეტი | 64                                   | 48   | 42      | 32       |

ხის ტარის და შესაფუთი მასალის მარკირების მაგალითებია:



მარკირება ადასტურებს, რომ მერქანმა, ან ხის ტარამ და შესაფუთ მასალამ გაიარა დადგენილი ფიტოსანიტარიული დამუშავება. მარკირება შემდეგნაირად იმიფრება:

- IPPC -საერთაშორისოდ მიღებული სიმბოლო;
- GE - ქვეყნის კოდი;
- 000 - ხის ტარისა და შესაფუთი მასალის მწარმოებლისთვის ან გაუსნებოვნების ჩამტარებლისთვის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული კოდი;
- HT (თერმული); MB (ბრომმეთილით) - დამუშავების სახე.

მარკირება უნდა იყოს:

- ერთი ფერის;
- ადვილად კითხვადი;
- ადვილად არ უნდა იშლებოდეს;
- უნდა გამოირიცხოს მისი გადატანა (არ უნდა იყოს დაბეჭდილი მაგ. ქაღალდზე, ფირფიტაზე და შემდეგ მიკრული შესაფუთ მასალაზე);
- დატანილი ტარისა და შესაფუთ მასალის ორ მოპირდაპირე მხარეს, თვალსაჩინო ადგილას;
- დამტკიცებული (მარკირებული წყალგამძლე საღებავით ან ამომწვარი. დაუშვებელია ხელით დაწერილი ან დახატული მარკირება);
- გამოყენებული ფიტოსანიტარიულად დამუშავებული მერქნის ან ხის ტარისა და შესაფუთი მასალის მარკირებისათვის.

**აკრძალულია** ნითელი ან ნარინჯისფერი მარკირების გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული ფერები საშიში საგნების/ტვირთების აღსანიშნავად გამოიყენება.

მარკირებული ხის ტარისა და შესაფუთი მასალის წარმოებისა და რემონტის დროს უნდა ხორციელდებოდეს ნაყიდი (შემოტანილი) მერქნისა და რეალიზებული ნაკეთობების რაოდენობის აღრიცხვა (HT და MB დამუშავების შესახებ აღნიშვნები მითითებული უნდა იყოს როგორც ყიდვისას, ისე გაყიდვისას).

HT და MB დამუშავებული მერქანი უნდა ინახებოდეს სანარმოში გამოყენებული სხვა მასალისაგან ცალკე. აუცილებლად უნდა იყოს დაცული HT და MB მარკირების დასმა, მხოლოდ დამუშავებულ მერქანზე.

ხის ტარისა და შესაფუთი მასალის დამზადებისათვის გამოყენებული უნდა იქნას ქერქვაცლილი მერქანი. ხის ტარისა და შესაფუთი მასალის რემონტისას (როცა იცვლება დეტალების 1/3-ზე ნაკლები) გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ISPM №15 შესაბამისად დამუშავებული და მარკირებული მერქანი.

გარემონტებული ხის ტარა და შესაფუთი მასალა (როცა იცვლება დეტალების 1/3-ზე მეტი) ხელახლა უნდა დამუშავდეს. გარემონტებულ ხის ტარასა და შესაფუთ მასალაზე ადრე დატანილი ყველა მარკირება უნდა განადგურდეს (მაგ. გადაიფხიკოს,

გადაიღებოს). განმეორებითი დამუშავების შემდეგ მარკირება დატანილი უნდა იქნას ISPM №15 შესაბამისად.

### 3.6. ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლის და მწვანე ხაჭაპურის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას

იმისათვის, რომ სასურსათო პროდუქტები, მათ შორის თხილი, დაფნის ფოთოლი და მწვანე ხაჭაპური იქნას ევროკავშირის ბაზარზე, მათ უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები. ასევე გადახდილი უნდა იქნას შესაბამისი გადასახადები (დღგ, სააქციზო გადასახადი). ინფორმაცია ზემოხსენებული მოთხოვნების და გადასახადების შესახებ შეიძლება ვიხილოთ ევროკომისიის მიერ შექმნილ Export Helpdesk-ზე, რომელიც მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ უფასო ინტერნეტ მომსახურებას წარმოადგენს. [Export Helpdesk-ის ინტერნეტ-მისამართია: www.exporthelp.europa.eu](http://www.exporthelp.europa.eu). იგი 6 ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, არაბული და რუსული) ფუნქციონირებს. Export Helpdesk-ში ინფორმაცია სისტემატიზირებულია ცალკეული პროდუქტების მიხედვით. ამ ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული უნდა იქნას ე.წ. სასაქონლო კოდი. სასაქონლო კოდები აიღება ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურიდან, რომელიც კოდირების საერთაშორისო კლასიფიკაციას, ე.წ. ჰარმონიზებულ სისტემას ეფუძნება. ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურა [ევროკავშირის საბჭოს 1987 წლის 23 ივლისის N 2658/87 რეგულაციით](#) რეგულირდება.

Export Helpdesk-იდან საჭირო ინფორმაციის მიღება, საქართველოდან გარჩეული თხილის (სასაქონლო კოდი: 08022200), დაფნის ფოთლის (სასაქონლო კოდი: 0910995000) და მწვანე ხაჭაპურის (სასაქონლო კოდი: 0709999000) ევროკავშირის ბაზარზე, კონკრეტულად კი ბელგიის სამეფოში ექსპორტის მაგალითზე განვიხილოთ.

ინფორმაცია საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანე ხაჭაპურის ევროკავშირის ბაზარზე (ბელგიის სამეფოს მაგალითზე) იმპორტისას არსებული ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნების, ასევე ბელგიის სამეფოს დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) შესახებ, Export Helpdesk-ის სექციიდან [მოთხოვნები და გადასახადები \(Requirements and Taxes\)](#) შეგვიძლია მივიღოთ.

#### ზოგადი მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანე ხაჭაპურის ერთნაირი ზოგადი მოთხოვნებია. ევროკავშირის ბაზარზე ამ სახეობის პროდუქტების იმპორტისას, საბაჟო პროცედურების გასაველეად, მათ თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

- **კომერციული ანგარიშ-ფაქტურა** წარმოადგენს დასტურს, იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის გარიგების შედგომის შესახებ. ხსენებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: იმპორტიორის და ექსპორტიორის დასახელება და მისამართი, დოკუმენტის შედგენის თარიღი და ნომერი, საქონლის აღწერა (დასახელება, ხარისხი და სხვ.), საზომი ერთეული, საქონლის რაოდენობა, საქონლის ერთეულის ღირებულება, საქონლის მთლიანი ღირებულება, ანგარიშ-ფაქტურის ჯამური ღირებულება და ვალუტა, რომელშიც ხდება ანგარიშგება, გადახდის პირობები (ფორმა, ვადა, ფასდაკლება და სხვ.), მიწოდების პირობები და ტრანპორტირების ფორმა;
- **საფრანგო (სატრანსპორტო) დოკუმენტის** სახეობა დამოკიდებულია გამოყე-

ნებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისად, ტვირთს თან უნდა ახლდეს:

- ✓ კონოსამენტი. ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საზღვაო გადაზიდვისას;
- ✓ კონოსამენტი FIATA. ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს შერეული გადაზიდვისას. ხსენებული დოკუმენტი შემუშავებული იქნა გადაზიდვით დასაწყისის საერთაშორისო ფედერაციის (FIATA) მიერ;
- ✓ საავტომობილო-სატრანსპორტო ზედდებული (CMR). ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საგზაო გადაზიდვისას;
- ✓ საავიაციო-სატრანსპორტო ზედდებული (AWB). ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საჰაერო გადაზიდვისას;
- ✓ სარკინიგზო-სატრანსპორტო ზედდებული (CIM). ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს სარკინიგზო გადაზიდვისას;
- ✓ ATA კარნეტი. ეს საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტი გამოიყენება ევროკავშირის ტერიტორიაზე საქონლის დროებით შეტანისას, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან გათავისუფლების მიზნით. ATA კარნეტი შეიძლება გაიცეს ისეთი კატეგორიის ტვირთებზე, როგორცაა, მაგალითად: კომერციული ნიმუშები, საგამოფენო და საპრეზენტაციო დანიშნულების საქონელი და სხვ.;
- ✓ TIR კარნეტი. ეს საბაჟო სატრანზიტო დოკუმენტი გამოიყენება ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვისას, რომლის ნაწილი საგზაო გადაზიდვის სახით ხორციელდება. TIR კარნეტი ტვირთის TIR პროცედურით ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. TIR სისტემის მოთხოვნით, ტვირთი უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებებით ან კონტეინერებით უნდა იქნას გადაზიდული; ყველა საბაჟო გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც ტვირთის ტრანსპორტირებისას შეიძლება წარმოიქმნას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას საერთაშორისო გარანტიით; ტვირთს თან უნდა ახლდეს TIR კარნეტი და ტვირთის გამგზავნი ქვეყნის საბაჟო კონტროლის პროცედურები აღიარებული უნდა იქნას სატრანზიტო და ტვირთის მიმღები ქვეყნების მიერ;
- **შეფუთვის ნუსხა** წარმოადგენს კომერციულ დოკუმენტს, რომელიც იძლევა ინფორმაციას ექსპორტიორის, იმპორტიორის, გამომზადების, ტვირთის შეფუთვის რაოდენობის, სახეობის, მარკირების, ნუმერაციის, ცალკეული შეფუთვის შემადგენლობის, წონის (ნეტო და ბრუტო) და გაბარიტების შესახებ;
- **საბაჟო ღირებულების დეკლარაცია** წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უნდა ახლდეს ტვირთს, თუ მისი საბაჟო ღირებულება 10 ათას ევროს აღემატება. საბაჟო ღირებულების დეკლარაცია შევსებული უნდა იქნას [ევროკომისიის 1993 წლის 2 ივლისის N 2454/93 რეგულაციის](#) 28-ე დანართში მოცემული DV1 ფორმის მიხედვით. ხსენებული დოკუმენტი არ მოითხოვება თუ:
  - ✓ იმპორტირებული ტვირთის საბაჟო ღირებულება 10 ათას ევროზე ნაკლებია;
  - ✓ იმპორტირებული ტვირთი არაკომერციული დანიშნულებისაა;
  - ✓ იმპორტირებული ტვირთი თავისუფალია ევროკავშირის საბაჟო გადასახადისგან;
- **ტვირთის დაზღვევა** წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება დაზღვეულის ზარალის ანაზღაურება. საბაჟო პროცედურების გავლისას დაზღვევის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა

მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ დაზღვევისთვის გადახდილი თანხის ოდენობა არ არის მითითებული კომერციულ ანგაროშ-ფაქტურაში;

- **საბაჟო საიმპორტო დეკლარაცია** წარდგენილი უნდა იქნას ევროკავშირის შესაბამისი წვერი ქვეყნის საბაჟო სამსახურისთვის, საქონლის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას. ევროკავშირის საიმპორტო დეკლარაციის ფორმა უნიფიცირებულია, იგი ერთნაირია ევროკავშირის წვერი ყველა ქვეყნისთვის და მოცემულია [ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის N 2913/92 რეგულაციით](#) დამტკიცებულ ევროკავშირის საბაჟო კოდექსში (Single Administrative Document - SAD). ეს დეკლარაცია შეესებულები უნდა იქნას ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რომელსაც ცნობს ევროკავშირის წვერი ის ქვეყანა, რომლის საზღვარსაც პირველად კვეთს საიმპორტოდ გამიზნული პროდუქტი.

### სპეციფიკური მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანის იმპორტისას უნდა დამაყოფილდეს შემდეგი სპეციფიკური მოთხოვნები:

- **დამაბინძურებელი ნივთიერებების კონტროლი.** მომხმარებელთა ჯანმრტელობის მაღალ დონეზე დაცვის მიზნით, ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრილი თხილი, დაფნის ფოთოლი და მწვანილი არ უნდა შეიცავდეს დამაბინძურებელი ნივთიერებების ისეთ რაოდენობას, რაც საზიანო ადამიანის ჯანმრტელობისთვის. დამაბინძურებელი ნივთიერებები თხილში, დაფნის ფოთოლსა და მწვანილში შეიძლება მოხვდეს მისი წარმოების სხვადასხვა ეტაპზე, შეფუთვისას, ტრანსპორტირებისას ან შენახვისას. [ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის N 1881/206 რეგულაცია](#) განსაზღვრავს სხვადასხვა დამაბინძურებელი ნივთიერების ზღვრულ დასაშვებ ნორმებს სხვადასხვა სახეობის საკვებ პროდუქტებში, მათ შორის თხილში, დაფნის ფოთოლსა და მწვანილში (იხ. ქვეთავი 3.3.);
- **წარჩენი პესტიციდების კონტროლი.** სასურსათო პროდუქტებში პესტიციდების წარჩენების მაქსიმალურად დასაშვებ დონეს [ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის N 396/2005 რეგულაცია](#) განსაზღვრავს;
- **სანიტარული კონტროლი.** ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი თხილი, დაფნის ფოთოლი და მწვანილი უნდა აკმაყოფილებდეს [ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის №178/2002 რეგულაციით](#) განსაზღვრული სურსათის შესახებ ევროკავშირის კანონის ძირითად მოთხოვნებს, ასევე სურსათის ჰიგიენასა და მასში დამაბინძურებელი ნივთიერებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობაზე ევროკავშირის მოთხოვნებს (იხ. ქვეთავი 3.1);
- **ეტიკეტირება.** ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისთვის გამიზნული თხილის, დაფნის ფოთლის და მწვანის ეტიკეტირება უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის პროდუქტის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას, რათა მომხმარებელს, სასურსათო პროდუქტების შექენისას, არჩევანის საშუალება მიეცეს. სურსათის ეტიკეტირებაზე ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები მოცემულია [ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2000 წლის 20 მარტის №2000/13/EC დირექტივაში](#). ეტიკეტი უნდა იყოს შედგენილი მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე. მაგალითად, ბელგიის სამეფოს შემთხვევაში, ბელგიის იმ რეგიონებიდან გამომდინარე სადაც პროდუქტის რეალიზაცია ხდება, ეტიკეტი შედგენილი უნდა იყოს ფრანგულად, ფლამანდიურად, გერმანულად ან



ფრანგულ/ფლამანდიურად (იხ. ქვეთავი 3.2.);

- **მარკეტინგული მოთხოვნები.** ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი ნაჭუჭიანი თხილი და მწვანილი უნდა აკმაყოფილებდეს ზოგად მარკეტინგულ მოთხოვნებს, რაც შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემით უნდა დადასტურდეს. საქართველოს შემთხვევაში, შესაბამისობის სერტიფიკატს გასცემენ ევროკავშირის წვერი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები (იხ. ქვეთავი 3.4.).

### გადასახადები

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის წვერი ცალკეული ქვეყანა საქონლის სხვადასხვა სახეობაზე განსხვავებული ოდენობის დღგ-ს აწესებს. დღგ-ს გადახდა ხდება საქონლის მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ევროკავშირში დღგ რეგულირდება [ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის No 2006/112/EC დირექტივით](#).

მაგალითად, საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანილის ბლვადის სამეფოში იმპორტისას გადახდილი უნდა იქნას დამატებითი ლირებულების გადასახადი 6%-ის ოდენობით. აქციზი გადასახდელი არ არის.

### საიმპორტო ტარიფები

აღსანიშნავია, რომ 1968 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირში დაწესდა ერთიანი საიმპორტო ტარიფები.

ინფორმაცია საქართველოდან თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანილის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას არსებული საიმპორტო ტარიფების შესახებ, Export Helpdesk-ის სექციიდან [საიმპორტო ტარიფები \(Import tariffs\)](#) შეგვიძლია მივიღოთ.

როგორც Export Helpdesk-იდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, საქართველო წარმოადგენს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის სპეციალური სქემით, GSP+ -ით მოსარგებლე ქვეყანას და შესაბამისად საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე თხილის, დაფნის ფოთლისა და მწვანილის იმპორტი გათავისუფლებულია საიმპორტო გადასახადიდან.

იმისათვის, რომ საქონელმა ისარგებლოს GSP+ -ით გათვალისწინებული შეღავათებით, ეს საქონელი წარმოებული უნდა იყოს GSP+ -ით მოსარგებლე ქვეყანაში. საქონლის წარმოშობა დადასტურებული უნდა იქნას წარმოშობის სერტიფიკატით. შესაბამისად, ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას საქონელს, სხვა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა ახლდეს სპეციალური წარმოშობის სერტიფიკატი — სერტიფიკატი ფორმა A, რომელსაც საქონლის წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო გასცემს.

*საყურადღებოა, რომ წარმოშობის სერტიფიკატის გარეშე საქონლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისას პრეფერენციული (შეღავათიანი) საიმპორტო ტარიფებით სარგებლობა შეუძლებელია.*

## 4. საერთაშორისო სტანდარტები

### 4.1. სტანდარტები ISO 22000 და GLOBAL G.A.P.

სურსათის უვნებლობის რეგულირების მნიშვნელოვანი დოკუმენტია [საერთაშორისო სტანდარტი ISO 22 000](#) “სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის მოთხოვნები სასურსათო ციკლში მონაწილე კომპანიებისათვის” (Food safety management systems requirements for any organization in the food chain).

სტანდარტის შემუშავების წინაპირობა იყო მსოფლიო ვაჭრობის განვითარება, სურსათის ხარისხისა და უვნებლობისადმი მომხმარებელთა მოთხოვნების ზრდა, სურსათთან დაკავშირებულ დავალებათა მატება, ეკონომიკური დანახარჯების ზრდა და ა.შ. აღნიშნული სტანდარტი აერთიანებს სურსათის უვნებლობის HACCP - ის სისტემის ძირითად კონცეფციებსა და ხარისხის მართვის პრინციპებს. მასში მოცემულია ასევე წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების (GMP) პროგრამა, რესურსების მართვის მექანიზმი. სწორედ ეს ინტეგრაცია წარმოადგენს ამ სტანდარტის უპირატესობას და საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას როგორც ორგანიზაციის მართვის ეფექტური სახელმძღვანელო.

პირველადი წარმოებებისთვის გამოიყენება [საერთაშორისო სტანდარტი GLOBAL G.A.P.](#), რომელშიც მოცემულია მოთხოვნები შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის – GAP (Good Agricultural Practice) დანერგვისადმი.

ამ სტანდარტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისგან გამონეული რისკების შემცირება წარმოების მთლიანი ციკლის მიკვლევადობის გზით.

სტანდარტში გათვალისწინებულია HACCP-ის პრინციპები, მოიცავს სხვადასხვა სფეროებს და ეფექტურად მუშაობს 80 ქვეყანაში. მსოფლიოში ამ სტანდარტით სერტიფიცირებული წარმოებების რიცხვი 80 ათასს აჭარბებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული სტანდარტების გამოყენება ნებაყოფლობითია, ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც გეგმავენ თავიანთი სურსათის ევროკავშირის ბაზარზე შეტანას, ამ სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია.

### 4.2. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტები

[Codex Alimentarius](#)<sup>30</sup> კომისიის სხვადასხვა კომიტეტები შეიმუშავებენ სურსათის სტანდარტების პროგრამას, რომლის მიზანია სურსათით ვაჭრობის სამართლიანი პრაქტიკის დამკვიდრება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ის მოიცავს ასევე საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ხასიათის პრაქტიკულ რჩევებს და ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციას.

კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები აუცილებელ და ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებად განისაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობაში. დღეისათვის კომისიის მიერ სურსათის უვნებლობის რეგულირებისათვის შემუშავებულია რამდენიმე ასეული სტანდარტი. ამ სტანდარტებით განსაზღვრულია ის ზოგადი წესები და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის ბიზნესოპერატორი.

[სტანდარტი CAC/RCP 1-1969](#) მოცემულია ჰიგიენის ზოგადი პრინციპები ყველა სახის (მ.შ. მწვანის, დაფნისა და თხილის) სურსათის წარმოებისთვის. სტანდარტში შედის როგორც წარმოების მიმართ ნაყენებული ზოგადი ხასიათის, აგრეთვე საფრ-

<sup>30</sup> Codex Alimentarius Commission (CAC) შეიქმნა 1962 წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ.



თხეების კონტროლის შიდა სისტემასთან (HACCP) დაკავშირებული მოთხოვნები.

[სტანდარტი CAC/RCP 53-2003](#) არეგულირებს არაცხოველური წარმოების სასურსათო პროდუქტის (მ.შ. მწვანე ხაჭაპურის) წარმოების ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს.

სტანდარტი CAC/RCP 53-2003 მიხედვით ბიზნესოპერატორმა:

- უნდა უზრუნველყოს გარემო არის (ნიადაგი, წყალი, ჰაერი), სურსათის პოტენციური დამაბინძურებლების, სანარმოსა და მიმდებარე ტერიტორიის, კომპოსტის, ბიომასისა და სხვა ბუნებრივი საშუალებების შეფასება და კონტროლი;
- უნდა ჩატაროს კვლევები (მ.შ. ლაბორატორიული);
- შესაბამისი მოთხოვნების დაცვით უნდა მოაწიოს სათბურები და გამოიყენოს ქიმიკატები;
- უნდა დაიცვას სტანდარტის მოთხოვნები სანარმოო აღჭურვილობისა და ინვენტარის, სურსათის გადამუშავების, შენახვის, დაფასებისა და ტრანსპორტირების მიმართ;
- უნდა აწარმოოს ჩანაწერები მცენარის მოყვანის ადგილის, სასოფლო-სამეურნეო მასალის მომწოდებლის, თესლის პარტიის ნომრის, მორწყვის სიხშირის, ქიმიკატების გამოყენების, (გამოყენების თარიღი, ქიმიკატის დასახელება, კულტურის სახეობა, მავნებლები და დაავადებები, ქიმიკატის კონცენტრაცია, გამოყენების სიხშირე, მეთოდები და მოსავლის აღების თარიღი) წყლის ხარისხის, სანარმოო სათავსოების დალაგების და აღჭურვილობის რეცხვის გრაფიკის შესახებ;
- უნდა აკონტროლებდეს წარმოებაში დასაქმებულ პერსონალს (პერსონალის პირადი ჰიგიენა, სანიტარიული პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ქვევის წესები);
- უნდა უზრუნველყოს პერსონალის პერიოდული სწავლება/გადამზადების ორგანიზება.

[სტანდარტი CAC/RCP 6-1972](#) მოცემულია თხილის წარმოების სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები.

[სტანდარტი CAC/RCP 59-2005](#) მოცემულია თხილში აფლატოქსინების შემცირებისათვის გასატარებელი პრაქტიკული რეკომენდაციები.

[სტანდარტი CAC/RCP 42-1995](#) ეხება არომატიზატორებად გამოსაყენებელ არაცხოველური წარმოების სურსათის (მ.შ. დაფნის ფოთლის) წარმოებებს. მასში მოცემულია ჰიგიენური მოთხოვნები ამ სახის წარმოებების მიმართ. სტანდარტის მოთხოვნები ეხება მოსავლის აღებას, ტექნოლოგიურ გადამუშავებას, დაფასებას, შენახვას ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას.

## SUMMARY

# How to Export Food Products of Non-animal Origin from Georgia to the EU Market

## 1. Foreword

At the present state of Georgia’s development it is extremely important that the local entrepreneurs have information on the specific issues regarding trade with the EU – one of the largest and strategic markets for Georgia. The present publication therefore describes the requirements of export of food products of non-animal origin from Georgia to the EU market.

Accessing the EU market by third country exporters of food products of non-animal origin requires compliance with the EU regulations to ensure food safety and plant health. For this purpose the EU sets the so called “horizontal” and “vertical” legislation applicable to food safety and imports from third countries (including Georgia).

“Horizontal” legislation covers aspects common to all foodstuffs such as additives, labeling requirements, etc. “Vertical” legislation is regulating the manufacture and marketing of specific products.

The present publication aims to introduce the existing EU and Georgian norms, as well as international standards on the production, processing, distribution and export of food products of non-animal origin to the EU market to Georgian entrepreneurs. The publication discusses these issues using the specific examples of greens, laurel leaves and hazelnuts.

